ახალი განათლება

14-20.11.2019

№35 (869) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ლალი ჯელაძე

მიხეილ ჩხენკელის დაბრუნება – შეფასებები

ჩხენკელის მობრუნება რთული საკომენტაროა – მიჭირს თქმა ან რა დამსახურებების გამო გაუშვეს თავის დროზე, ან რა დამსახურებების გამო დააბრუნეს ახლა. რეალურად, ან ერთი ვარიანტია, რომ ის გარდამავალი მინისტრია, რომელიც დროებითაა დანიშნული, ან მეორე – განაცხადი უნდა იყოს სამთავრობო გუნდისგან, რომ ეს ადამიანი იქნება ჩემი მომავალი მინისტრი ამა და ამ ხედვების გამო. არც ერთი განაცხადი არ გაკეთებულა. ერთადერთი ეჭვი, რომელიც მაქვს, სულ სხვა რამეს უკავშირდება. ის საკმაოდ კარგი ინტელექტუალია და ამის გამო, პოზიტიური განწყობაც შეიძლება იყოს მის მიმართ. მისი მინისტრობის პერიოდიდან რაც მახსენდება, ხშირი შეხვედრები და ინტერაქციაა სხვადასხვა ჯგუფებთან. სავარაუდოდ, ახლაც ამ ფუნქციას იკისრებს წინასაარჩევნოდ, ხოლო სხვა სტრუქტურებს, რომლებიც, სამწუხაროდ, განათლების სისტემაში აქტიურად მონაწილეობენ, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობები, მეტი მექანიზმები ექნებათ კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ სისტემაში, რასაც ჩხენკელი ნაკლებად გაუწევს წინააღმდეგობას, განსხვავებით ისეთი მინისტრისგან, რომელიც, შესაძლებელია, მართვის უფრო ეფექტურ მექანიზმებზე ფიქრობდეს.

მიუხედავად მისი პოზიტიური იმიჯისა, როგორც მკვლევრის, ეჭვი მეპარება განათლების სისტემაში რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება შეძლოს. მისმა 8-თვიანმა მოღვაწეობამ არანაირი ხელშესახები კვალი არ დააჩნია, თავის დროზე, ამ სფეროს. შესაბამისად, არა მგონია, ჩხენკელმა ახლა შეძლოს ამის გაკეთება. არც პრემიერ-მინისტრის მრჩევლად ყოფნის პერიოდში გამოირჩეოდა თავისი მოღვაწეობით. მიუხედავად იმისა, რომ წინა პრემიერ-მინისტრს ბევრი ინიციატივები ჰქონდა განათლებაში, ჩხენკელი, როგორც ამ ინიციატივების გენერატორი, არ გამოირჩეოდა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, რაიმე მოლოდინი არც ამ გარდამავალ პერიოდში მაქვს – ცვლილებებს მისი მხრიდან სისტემაში არ ველოდები.

შალვა ტაბატაძე
განათლების ექსპერტი

მიხეილ ჩხენკელის დანიშვნა კარგი ნიშანია, თუ მთავრობა პოპულისტური ნაბიჯების გადადგმას არ აპირებს არჩევნების დროს. ცუდი ნიშანია, თუ მთავრობა თვლის, რომ ის იმდენად სუსტი იქნება, რომ დავალებებს შეასრულებს და ამიტომ მოიყვანეს. რაღაც დადებითი იმაშიც არის, რომ წინა მინისტრების განგრძობითობა უფრო მეტად მოხდეს – ჩხენკელი, ბატიაშვილის დროს, მონაწილეობდა შეხვედრებსა და განხილვებში, ჩართული იყო გადაწყვეტილებების მიღებაშიც.

ერთადერთი, რაც მას სხვა მინისტრებისგან განასხვავებდა, ის იყო, რომ არ ჰქონდა სწრაფი, ზედაპირული იდეები, დიდხანს ემზადებოდა და სწორედ მაშინ მოხსნეს, როცა გეგმებზე საუბარი დაიწყო. თუმცა, მისი რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მახსენდება.

უფრო პოპულისტი მინისტრის დანიშვნას ველოდი, ძალიან კარგი, რომ ასე არ მოხდა. თუმცა, მეორე მხრივ, ცოტა უფრო აქტიური ადამიანი ცუდი არ იქნებოდა. მთავარია, საარჩევნო კამპანიაში არ ჩაერთოს და საარჩევნო მანქანის ინსტრუმენტი არ გახდეს, ეს მინიმალური მოთხოვნაა მის მიმართ.

სიკო ჯანაშია
განათლების ექსპერტი

გაუგებარია მიხეილ ჩხენკელის მინისტრად დაბრუნება. ის 8 თვის განმავლობაში უკვე იყო მინისტრი და სტრატეგიის წარდგენის შემდეგ, რამდენიმე დღეში შეცვალეს. მაშინაც გაურკვეველი იყო როგორც მისი დანიშვნის, ისე გაშვების პრინციპები. მაშინ, როცა სისტემაში მართლაც უამრავი გამოწვევაა და განათლებაში არსებულ მძიმე მდგომარეობას არაერთი კვლევა ადასტურებს, მინისტრების ასეთი სიხშირით ცვლილებით კიდევ დამატებითი რყევების შექმნა გაუგებრობას იწვევს – ყველა ფიქრობს, რატომ ინიშნება ან ერთი, ან მეორე მინისტრი, ან რატომ ხსნიან ასეთი ინტენსივობით. ერთი ვარაუდია (ამას პრაქტიკა აჩვენებს), ეს მოვლენები მიბმულია არჩევნებზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა მინისტრმა გადადგომა პირად მიზეზებს დაუკავშირა, არჩევნების მოახლოება გვაფიქრებინებს, რომ მან უარი თქვა რაღაცებზე, რასაც არჩევნების პირობებში არ დათანხმდებოდა, ჩხენკელი კი შეიძლება დათანხმდეს, ან საერთოდ არ იცოდეს რაზე თანხმდება. რეალურად არსად გაცხადებულა ამ ცვლილების მიზეზი, რატომ დაინიშნა ჩხენკელი.

მისი მინისტრობის მოკლე პერიოდში, სასკოლო განათლების მიმართულებით, მისგან არანაირი ინიციატივა არ ყოფილა, ძირითადად, ინტერნაციონალიზაციასა და უმაღლეს განათლებაზე იყო ორიენტირებული, სავარაუდოდ, თსუ-ს პრორექტორობიდან გამომდინარე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ის მაინც არის კარგი, რომ გუნდი რჩება უცვლელი და გუნდის გამოცვლით მაინც აღარ შეარყიეს სისტემა.

სავარაუდოდ, ჩხენკელი დროებითი, მოკლე პერიოდის მინისტრია. ალბათ, საზოგადოების უმეტესობაც ასე ფიქრობს. ძალიან მნიშვნელოვანია პირადად მინისტრისგან მოვისმინოთ კითხვაზე პასუხი – რატომ დათანხმდა მეორედ მინისტრობას? მეტიც, რა მისია ჰქონდა მის პირველად დანიშვნას, მერე მოხსნას და ახლა თავიდან დანიშვნას? ერთია შემოთავაზება და მეორეა დათანხმება, მით უფრო, როცა არჩევნების წინა პერიოდია და ამ პერიოდში, განათლების სისტემაში, განსაკუთრებით, ზოგად განათლებაში, სერიოზული რაღაცები ხდება – სამწუხაროდ, ის პირდაპირაა მიბმული არჩევნების პროცესებს. ამას პრაქტიკა აჩვენებს. დღევანდელი გადაწყვეტილება კი, კიდევ უფრო ამყარებს ამ ვარაუდს – წინასაარჩევნოდ უშვებ მინისტრს და აბრუნებ ძველ კადრს, რომლის მინისტრობა არაფრით იყო გამორჩეული, რაც გაფიქრებინებს, რომ ეს, მინიმუმ, არჩევნებთანაა კავშირში და ტოვებს განცდას, რომ ჩხენკელი იქნება, სავარაუდოდ, შუალედური მინისტრი, ვიდრე გრძელვადიან მინისტრს შეარჩევენ.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო კრიზისული სიტუაცია იქმნება და, სამწუხაროდ, სისტემაში ძირეული ცვლილებების შანსიც მცირდება. ამ თემაზე, განათლების კოალიცია, მოგვიანებით, დეტალურ განცხადებას გააკეთებს და ჩვენს მოსაზრებებს აუცილებლად გავასაჯაროებთ.

გიორგი ჭანტურია
განათლების კოალიციის დირექტორი

ახალი ამბები

„იმედია, ამას არ მოჰყვება პოლიტიკური სპეკულაციები“

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. მისი გადადგომის შესახებ განცხადება პრემიერმა, გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე გააკეთა. მან მადლობა გადაუხადა მიხეილ ბატიაშვილს გაწეული შრომისთვის, განათლების სფეროში დანყებული სისტემური რეფორმისთვის და აღნიშნა, რომ„პრინციპი, რომელსაც ყველა ერთხმად ვეთანხმებით – ჩვენი ქვეყნის უაღრესად მნიშვნელოვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები გახლავთ სამუშაო ადგილები, განათლება და უსაფრთხოება, ამ სამ მიმართულებას ჩვენ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ. განსაკუთრებით განათლების სისტემურ რეფორმას, რომელიც უფრო სწრაფ და ეფექტიან განვითარებას მოითხოვს და დარწმუნებული ვარ, კოლეგები, გუნდი, რომელიც განათლების სამინისტროს დღეს ხელმძღვანელობს, ამ მიმართულებით გააგრძელებს ეფექტიან შრომას“.

მიხეილ ბატიაშვილი აცხადებს, რომ თანამდებობა საკუთარი გადაწყვეტილებით, პირადი მიზეზების საფუძველზე დატოვა. *„მინდა გითხრათ, რომ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო მინისტრის თანამდებობა. ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი არის პირადი და დიდ იმედს გამოვთქვამ, ამას არ მოჰყვება დამატებითი პოლიტიკური სპეკულაციები. ამასთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები მქონდა პრემიერ-მინისტრთან და ძალიან ვაფასებ მის მხარდაჭერას როგორც ზოგადად, განათლების სისტემის მიმართ, ასევე ჩემს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ მისი წასვლა არ შეაფერხებს განათლების სისტემის განვითარებას, რაც შეუქცევადი პროცესია.

„ჩვენ დავიწყეთ ცვლილებები მთელი სისტემის, განათლების ყველა მიმართულებით და ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება პროფესიონალების იმ გუნდთან ერთად, რომელიც სამინისტროში მუშაობს, იმ სტრატეგიისა და გეგმის საფუძველზე, რომელიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და, რეფორმის ფარგლებში, განათლების ყველა საფეხურზე ხორციელდება! ამ ეტაპზე, როდესაც განათლების რეფორმა სისტემურად მიმდინარეობს, იმ ფონზე, როდესაც სისტემა სწორ გზაზე დგას, დარწმუნებული ვარ, პირადად ჩემი წასვლა არ შეაფერხებს განვითარებას, რომელიც შეუქცევადი პროცესია. სხვა შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი.

ჩემი როლი და ძალისხმევა სრულად იქნება მიმართული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისკენ, კონკრეტული შედეგების მისაღწევად და განათლების ერთიანი რეფორმის გასაძლიერებლად! უფრო მეტიც, ვგეგმავ, რომ ჩემი ენერგია, უკვე სისტემის გარედან, დიდ და ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, კვლავ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას მოვახმარო, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მიმდინარე რეფორმას და ხელს შეუწყობს განათლების სისტემის მეტ განვითარებას.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ერთიან სამთავრობო გუნდს თანამშრომლობისთვის, მხარდაჭერისთვის. ჩემს დიდ გუნდს სამინისტროში, თითოეულ თანამშრომელს, მათ გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა ის შედეგები, რასაც მივაღწიეთ და რაც მთავარია, უზარმაზარია მათი როლი იმ პროცესებში, რაც მიმდინარეობს და გაგრძელდება.

დიდი მადლობა ყველას, მასწავლებლებს, ლექტორებს, მეცნიერებს, ექსპერტებს... დიდი მადლობა თქვენ, მედიას, იმისათვის, რომ მუდმივად აშუქებდით ჩვენს პროექტებს.“

მინისტრი ამბობს, რომ მისი შემდგომი საქმიანობა ისევ განათლების სფეროსთან იქნება დაკავშირებული, უფრო კონკრეტულად რას აპირებს საზოგადოებისთვის რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი. მის სიტყვაში მთავარი მინიშნება ის იყო, რომ არსად წასვლას არ აპირებს, განათლების სფეროში მნიშვნელოვან პროექტებს საქართველოში განახორციელებს.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, დაიყოფა თუ არა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ექს-მინისტრმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები და რამდენიმე ვერსია განიხილება როგორც დაყოფის, ასევე უცვლელად დატოვების. სავარაუდოდ, პროცესი მომავალი წლიდან განხორციელდება: *„ამიტომ საკმაო დროა იმისთვის, რომ წლის ბოლომდე ჩამოყალიბდეს სწორი ხედვა გაყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ ბოლომდე ამ ინფორმაციას ვერ გიდასტურებთ.“*

ინტერვიუ

ბატიაშვილის მინისტროობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

ლალი ჯელაძე

7 ნოემბერს მიხეილ ბატიაშვილმა თანამდებობა დატოვა – „ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი არის პირადი და დიდ იმედს გამოვთქვამ, ამას არ მოჰყვება დამატებითი პოლიტიკური სპეკულაციები.“ – განაცხადა ექს-მინისტრმა.

ბუნებრივია, მის გადადგომას საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, ინტენსიურად განიხილება რა გახდა ბატიაშვილის წასვლის რეალური მიზეზი? თუმცა, ამ მიზეზის გარდა, მნიშვნელოვანია მისი მინისტროობის დროს დაწყებული კომპლექსური რეფორმის შეფასება – როგორია ერთი წლის წინ დაწყებული რეფორმა და, საერთო ჯამში, როგორი მინისტრი იყო მიხეილ ბატიაშვილი? რეფორმის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე საუბრობს განათლების ექსპერტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე და ამბობს, რომ მინისტრის წასვლის რეალურ მიზეზს მაშინ დავინახავთ, როცა ახალი დასახელდება.

– ბატონო შალვა, რას უკავშირებთ მიხეილ ბატიაშვილის წასვლას და, ზოგადად, რას გამოიწვევს სისტემაში მინისტრების ასეთი ხშირი ცვლა?

– კონკრეტულად ბატიაშვილის წასვლა რითი იყო გამოწვეული, ჩემთვის უცნობია, შესაბამისად, არ ვიცი, რას უკავშირდებოდა. გადაწყვეტილების მიზეზი, ალბათ, უფრო ნათელი გახდება, ახალი მინისტრის დასახელების შემდგომ. რასაკვირველია, ზოგადად, ის ფაქტი, რომ მინისტრი ხშირად იცვლება, პრობლემატურია და რეალურად ხელს უშლის გარკვეული ხედვებისა და კონცეფციების განხორციელებას სისტემაში. არადა, ყველაზე ხშირად სწორედ განათლების მინისტრი იცვლება. მეორე მხრივ, საკმაოდ კარგი მანიშნებელია, კარგი ინდიკატორია იმისა, თუ რა ხდება სისტემაში. ვგულისხმობ იმას, რომ სისტემაში არ აქვთ რეფორმების გრძელვადიანი ხედვა. მეტიც, მთავრობის მცდელობა იმაზეა მიმართული, კონკრეტულმა მინისტრმა კონკრეტულ პერიოდში კონკრეტული დავალება შეასრულოს სისტემის სტაბილურობისა და სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად და არა რეფორმირებისთვის, მით უმეტეს, როცა წინ საარჩევნო პერიოდია გადასაგორებელი. სწორედ ამიტომ იცვლებიან ყოველ წელს მინისტრები. სამწუხაროდ, ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რა რეფორმა განხორციელდეს, ვინ შეძლებს ამ რეფორმის განხორციელებას, რა პერიოდი დასჭირდება და მინისტრიც ამ მიზნების უკეთ განხორციელებისთვის შეიცვალოს. ამ ხშირ ცვლილებებში ნათლად ჩანს, რომ ეს გადაწყვეტილებები კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ სამთავრობო მიზანზეა ხოლმე მორგებული და არც ბატიაშვილის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება ეხებოდა იმას, მაგალითად, „ახალი სკოლის მოდელის“ მუშაობა მოსწონდა თუ არა მთავრობას ან ფიქრობდა, რომ რეფორმის უფრო ეფექტურად განსახორციელებლად უკეთესი იყო ახალი მინისტრის მოყვანა. თუმცა, რეალურად, რა იყო გადაწყვეტილების საფუძველი, ამას მალე დავინახავთ.

– როგორ აფასებთ მიხეილ ბატიაშვილის მინისტრობის დროს დაწყებულ კომპლექსურ რეფორმას? თქვენი აზრით, რომელია პოზიტიური ცვლილება და სად ხედავთ ხარვეზებს?

– ბატიაშვილის რეფორმებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეიძლება ჩამოვთვალოთ, თუმცა, ბოლომდე შესრულების თვალსაზრისით, არ ვიცით, რა შედეგის მომტანი იქნება. პირველი – რეალურად, საატესტატო გამოცდების გაუქმება და ცვლილებები მისაღებ გამოცდებში გარკვეული აუცილებელი წინაპირობა იყო ამ მიმართულებით რეფორმების განსახორციელებლად, მათ შორის სასკოლო შეფასების სისტემის დახვეწის თავალსაზრისით როგორც ანგარიშვალდებულების, ასევე მხარდაჭერის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, გაუქმების შემდგომ, რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას, ამ ეტაპზეც კი საკმაოდ ბუნდოვანია. რეფორმისთვის გაუქმება აუცილებელი იყო, თუმცა, შემდეგი ნაბიჯები აღარ გამოჩნდა, ამიტომ ეს ნაწილი შეიძლება რეფორმის ნახევარფაბრიკატადაც კი არ შეფასდეს. ბუნებრივია, მხოლოდ საატესტატო გამოცდების გაუქმება შედეგის მომტანი ვერ გახდება.

ანალოგიური მდგომარეობაა მისაღები გამოცდების მიმართულებითაც. შემოთავაზებულია გამოცდების ახალი მოდელი, თუმცა, მისი დასაბუთება საკმაოდ სუსტია და არ ჩანს რეფორმის შემდგომი პერსპექტივა. თუმცა, ამ ფაქტს მაინც

ინტერვიუ

ასე შევაფასებ – ნაბიჯი გადადგმულია, რადგან მისაღები გამოცდების რეფორმირებასთან დაკავშირებით გარკვეული მიმართულებით სვლა დაიწყო.

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, ჩემი თვალთახედვით, საპენსიო ასაკის მასწავლებელთა პროფესიიდან გასვლისა და ახალი კადრების სისტემაში შემოსვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაა – მცდელობა იმისა, რომ პროცესი, ამ მიმართულებით, გარკვეულწილად დაწყებულიყო. რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, განსაკუთრებით, მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობების სკოლებში. ეს ხარვეზები დღესაც მოქმედებს, თუმცა, ეს იყო ჩაკეტილი სისტემის გახსნის პირველი მცდელობა.

ამ შემთხვევაში, ხარვეზებში იგულისხმება, მაგალითად, ვაკანტური ადგილების საკმაოდ ხელოვნურად შევსების პროცესი. თუნდაც მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, სადაც დანაკლისი დღესაც არის, თუმცა, ამაზე საუბარი არ მიდის. მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ სკოლას შეუძლია აიყვანოს მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე ადამიანი და შემდეგ, სკოლაში მუშაობის პერიოდში, მან დისტანციურად გაიაროს განათლების კურსი და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი. ეს გადაწყვეტილება სწორედ დანაკლისის შევსების სურვილით იყო გამოწვეული. თუმცა, მიმაჩნია, რომ არასწორია, სკოლებს მისცე შესაძლებლობა, შეუსაბამო კვალიფიკაციის ადამიანები შეიყვანონ პროფესიაში. ამან, თავისთავად, გამოიწვია გარკვეული ხარვეზები, მათ შორის, დასაქმების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, დასაქმების კუთხით პრობლემები რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობების სკოლებში გაჩნდა. სხვა მხრივ, ამ გადაწყვეტილებას პოზიტიური მხარეც ჰქონდა – პროცესი დაიწყო, თუმცა, რა გაგრძელება ექნება არ ვიცით, სარეფორმო ნაწილში არ ჩანს.

– პოზიტივი რა იყო, საპენსიო ასაკის მასწავლებლების სისტემიდან წასვლა თუ ახალი კადრების შემოყვანა?

– რა თქმა უნდა, ახალი კადრების შემოყვანა, რადგან მიზანი სისტემიდან გასვლა არ არის, მიზანია სკოლების ახალი კადრებით შევსება და რაც მთავარია, ეს ახალი კადრები კვალიფიციურები უნდა იყვნენ. ეს უფრო კომპლექსური პროცესია, ვიდრე უბრალოდ კადრების შესვლა. ქალაქებში საკმაოდ კარგი შესაძლებლობა გაჩნდა სკოლებისთვის, შეერჩიათ მაქსიმალურად კვალიფიციური კანდიდატები, რეგიონებში კი, როგორც გითხარით, არჩევდნენ კადრებს, რომელთა კვალიფიკაცია, ხშირ შემთხვევაში, არ იყო შესაბამისი. ამდენად, კადრების შევსების ახალი სისტემა პრობლემის მოსაგვარებლად არც თუ ისე კარგი აღმოჩნდა – კადრების შესვლის შესაძლებლობა არც გარანტიაა, არც იმის წინაპირობა, რომ კვალიფიციური კადრები შევლენ სკოლებში. კვალიფიციური კადრების შესვლის გარანტიისთვის სხვა მექანიზმების ამუშავებაა საჭირო, მათ შორის, უმაღლეს სასწავლებლებში. სამწუხაროდ, ეს მექანიზმები აქამდე არ ამუშავებულა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი ან დისტანციური სწავლების პროგრამები კვალიფიციური კადრების მომზადებას უზრუნველყოფს, ეს მხოლოდ ილუზიაა. ამ კუთხით რეფორმა არ გატარებულა.

სხვა მხრივ, პრინციპში, გაგრძელდა ახალი სასწავლო გეგმების დანერგვა და, რეფორმის ფარგლებში, შემოთავაზებულია „ახალი სკოლის მოდელი“, რომელიც იდეაში მნიშვნელოვან, სწორ საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება. თუმცა, მე ნაკლებად მწამს ყველა საჯარო სკოლაში მისი რეალისტურად განხორციელების, რადგან პროგრამის განხორციელების გზები არასწორად მიმაჩნია. სამინისტროს უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერის ჯგუფებით სასკოლო კულტურის შეცვლა, ვფიქრობ, არაეფექტური იქნება. მხარდამჭერი ჯუფების გასვლის შემდეგ, ამ ყველაფრის სასკოლო კულტურაში გადაზრდა ცოტა რთული იქნება, თუ ეს, რეალურად, სკოლის ხელმძღვანელობის ხედვა და ღირებულება არ გახდა. ამ თვალსაზრისით კი, ნაბიჯები არ გადადგმულა, მათ შორის, ხელმძღვანელობის ცვლილების, პროცესის სხვა მიმართულებით მართვისა და მართვაში ანგარიშვალდებულების მექანიზმების შეცვლის თვალსაზრისით – საფინანსო ანგარიშვალდებულებიდან ხარისხთან დაკავშირებულ ანგარიშვალდებულებაზე გადასვლა. მმართველობის სხვადასხვა ფორმის შემოტანის შესაძლებლობების თვალსაზრისით, არანაირი რეფორმა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ესეც მნიშვნელოვანი დასწყისია, თუმცა, არაკომპლექსური და საჭირო თანმხლები რეფორმების გარეშე.

– რეფორმაში ჯერჯერობით არ ჩანს დირექტორი?

– სწორედ ამას ვგულისხმობ – დირექტორის და მმართველი რგოლის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დირექტორის ანგარიშვალდებულების მექანიზმებია. დირექტორების შერჩევის მექნიზმები, ისევე როგორც მმართველობის ფორმები, ზუსტად იგივე რჩება, როგორიც იყო და არ შემოდის თავისუფალი სკოლის შესაძლებლობები, განსაკუთრებით ქალაქებში. სხვადასხვა მმართველობის ტიპის შესაძლებლობები და მეტი დელეგირებებია საჭირო, არ არის დიფერენცირება ქალაქისა და მაღალმთიანი სოფლის სკოლებს შორის და ა.შ. სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სკოლების კულტურის ნაწილად „ახალი სკოლის მოდელში“ ჩადებული კონცეფცია ვერ იქცევა. ვფიქრობ, პროცესი მას შემდეგ დამთავრდება, როცა სამინისტროს უშუალო აქტივობა დასრულდება ამ მიმართულებით.

– რეალურად, დღემდე პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის მიღმა არიან დარჩენილი არაქართულენოვანი მასწავლებლები. პროცენტულად ძალიან მცირე მასწავლებელმა შეძლო სერტიფიცირება. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ხედავს რეფორმა ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლებს?

– პრობლემა ის არის, რომ ამ სკოლებს, ზოგადად, საერთო მიდგომებთან ერთად, განსხვავებული მიდგომები სჭირდებათ. სამწუხაროდ, არაქართულენოვან სკოლებში ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია სხვადასხვა პრობლემების არსებობის გამო, მათ შორის, ენობრივი, ასაკობრივი თუ სხვადასხვა სოციალური პრობლემების. ამიტომ, თუ განსხვავებული მიდგომები და განსხვავებული პოლიტიკა არ იქნა, საქმე ვერ დაიძვრება. ერთადერთ გამართლებად იმას ასახელებენ, თითქოს, განსხვავებული მიდგომა იმიტომ არ არსებობს, რომ მათ საერთო სისტემის ქვეშ მოვიაზრებთ. ამ დროს, განსხვავებული სისტემები გვაქვს ეროვნულ სასწავლო გეგმებში, სახელმძღვანელოებში, ასევე გამოცდების ჩაბარების თვალსაზრისით. განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ როგორც მასწავლებელთა მომზადების კუთხით, ასევე მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხითაც. სამწუხაროდ, ეს მიდგომები არ ამუშავებულა, თუ არ ჩავთვლით 2015 წლიდან (ეს ბატიაშვილს ნაკლებად უკავშირდება) ამოქმედებულ პროგრამას, როცა მათ მშობლიურ ენაზე პროფესიული უნარების ჩაბარების შესაძლებლობა მიეცათ, უტარდებოდათ ტრენინგებიც. ჩემი აზრით, პროფესიული განვითარების მხოლოდ სქემაზე მიბმა მაინცდამაინც სწორი არ არის. რეალურად, თუ მასწავლებლები სქემაში ჩაერთვებიან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხი გაუმჯობესდება. ამ თვალსაზრისით, სისტემა უცვლელი დარჩა. ერთადერთი, შეიძლება ვთქვათ, რომ მეტ-ნაკლებად პოზიტიური ცვლილებაა ბიუროკრატიის როლის შემცირება. საერთო ჯამში, სქემამ მკვეთრი ცვლილებები მაინც ვერ განიცადა. ეს იმ მემკვიდრეობის შედეგიცაა, რომლის ძირეულ შეცვლას, სამწუხაროდ, მინისტრი ვერ შეძლებდა. თუმცა, გარკვეული მექანიზმების გაიოლება შეიძლება პოზიტივად ჩაითვალოს.

– საერთო ჯამში, როგორი მინისტრი იყო ბატიაშვილი?

– მარტივად ვიტყვი, ბატიაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული მინისტრი იყო იმ თვალსაზრისით, რომ შეეხო გარკვეულ საკითხებს, რომელსაც მანამდე არავინ შეხებია, მეტიც, განხილვაც კი არ ხდებოდა. თავისთავად, ეს პოზიტიურია, თუმცა, სამწუხაროდ, რეფორმის მნიშვნელოვანი ასპექტებიც არ გამოკვეთილა. სამწუხაროდ, ბატიაშვილის მოღვაწეობას საკმაოდ ნეგატიური ელფერიც აქვს. რეფორმების გარკვეული ნაწილი დეკლარირებულია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მისი განხორციელების რეალური წანამძღვრები არ ჩანს – განხორციელება არც დაწყებულა.

კონკერტული ნეგატიური საკითხებიდან, რომელიც მისი მინისტრობის პერიოდს ეხება, აუცილებლად მინდა დავასახელო ია კერზაიას საქმე, თუმცა, ეს ჯერჯერობით სადავო საკითხია. ასევე, მინდა ვისაუბრო იმ პრობლემატურ საკითხზე, რომელსაც არავინ ახსენებს – შავი ზღვის უნივერსიტეტის საქმე. ახალი მისული იყო მინისტრად, როდესაც შავი ზღვის უნივერსიტეტს, 21 აგვისტოს, პირველკურსელების მიღება აუკრძალეს. შემდგომ გადაწყვეტილებებში ეს პრობლემა ფორმალურად გამოსწორდა. მინისტრი, ამ შემთხვევაში, თავად უნდა ყოფილიყო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების რეფორმირების მხარდამჭერი, რომ ეს ინსტიტუცია სადამსჯელო ინსტუტუციად არ ქცეულიყო. სწორედ სადამსჯელო ინსტიტუციის როლი შეასრულეს, მისი მინისტრობის პერიოდში, შავი ზღვის უნივერსიტეტთან მიმართებაში, მინისტრმა ვერ შეძლო ამ ფუნქციის ჩამოშორება, ამ მიმართულებით რეფორმაზე საერთოდ არ იზრუნა.

კიდევ ერთი გამოწვევა ჰქონდა, რომელიც შეიძლება კერძო შემთხვევის სახით იყოს წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად სისტემური პრობლემაა – უკავშირდებოდა წიგნების გრიფირების პროცესს. ერთ-ერთი დასკვნის საფუძველზე, პირველი კლასის ერთ სახელმძღვანელოს გრიფი არ მიენიჭა. დასკვნა ხელმისაწვდომი და საჯარო გახდა. ასეთი არაკვალიფიციური და დაბალი ხარისხის დასკვნაზე სამინისტრომ რეაგირება არ მოახდინა. პირიქით, დასკვნის წახალისება მოხდა. სირცხვილიც კი იყო, ასეთი დასკვნის საფუძველზე რომ არ მისცეს სახელმძღვანელოს გრიფი. უფრო მეტიც, მისი ავტორი დაწინაურდა სამინისტროს კარზე, რაც პირადად ჩემთვის ნიშანდობლივია, თუ როგორ ხედავს სამინისტრო სისტემის რეფორმირებას და, მათ შორის, გრიფირების პროცესს. ეს თვალსაჩინო მაგალითია, რომ ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა და რომ სისტემა კვლავ ცდილობს, გრიფირების პროცესში გარკვეული კონტროლის მექანიზმები ჩამოაყალიბოს. ჩემთვის ეს დასკვნა სამინისტროს დიდი სირცხვილია, რაზეც, კიდევ ვიმეორებ, სერიოზული რეაგირება უნდა მოეხდინა იმდროინდელ მინისტრს. სამწუხაროდ, ეს რეაგირებაც არ მოხდა. ეს რამდენიმე ფაქტი, შეიძლება, ძალიან სპეციფიკური შემთხვევებია, მაგრამ სწორედ ასეთი სპეციფიკური შემთხვევები მიანიშნებს სერიოზულ დარღვევებზე და გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ, როგორია მინისტრის ხედვა სამინისტროს ფუქნციებსა და, ზოგადად, სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

– თქვენი აზრით, მისაღები გამოცდებიდან პროფესიული უნარების ამოღება სწორი გადაწყვეტილება იყო?

– ზოგად უნარებთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება მაქვს და, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ იმ კვლევის შედეგები, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, რეალურ შედეგებს არ ასახავდა. ერთადერთი გამართლება ის იყო, რომ უნარების ტესტში დიდი განსხვავებაა მაჩვენებლებს შორის – საკმაოდ მაღალი იყო მომზადების ხარისხი და დაბალი პრედიქტული ვალიდობა. ანალოგიური ვითარებაა ინგლისური ენის გამოცდასთან დაკავშირებით, აქაც დიდი სხვაობაა, თუმცა, ეს რეფორმა ინგლისურს არ შეხებია.

გარდა ამისა, პრედიქტულ ვალიდობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევით, ვიგებთ, რომ რეალურად ამის გამოკვეთაც პრობლემატური იყო. პრობლემები აღმოჩნდა როგორც ჩატარებული კვლევის მასშტაბის (მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში), ისე გამომწვევი მიზეზის დადგენის მიმართულებით. დაუდგენელია, რეალურად რა არის დაბალი პრედიქტული ვალიდობის მიზეზი, თვითონ ტესტის არადემოკრატიული სისტემა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, მაგალითად, პირველკურსელებში სუბსტაციის მაღალი ხარისხი? არ იყო შესწავლილი უშუალოდ უნარების ტესტი. გაურკვეველი დარჩა, რამ განაპირობა დაბალი პრედიქტული ვალიდობა. თუ ტესტშია პრობლემა, მაშინ ტესტი უნდა შევცვალოთ და არა სისტემა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უნარების ტესტის ერთგვარი დისკრედიტაციის თვალსაზრისით, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოკრატიული სისტემაა, რომელიც ნაკლებად ეფუძნება უფრო მეტ მომზადებას და იდეაში უკეთ ზომავს ზოგად უნარებს. მომავალში ამ სისტემის გარკვეული ფორმატის გამოყენება ან უკან დაბრუნება შეუძლებელია, იმდენად დისკრედიტირებული გახადეს რეფორმირების შედეგად.

– სკოლის მოსწავლეთა შეფესაბებზე რას გვეტყვით? რა ფორმით უნდა შეფასდეს მოსწავლე ნებისმიერ საფეხურზე?

– აქ მნიშვნელოვანია, გავმიჯნოთ შეფასება და გამოცდა, მით უმეტეს, ცენტრალიზებული გამოცდის სისტემა. თავისთავად, გამოცდა არ უნდა იყოს შეფასების ერთადერთი სისტემა, შეიძლება დაინერგოს როგორც ანგარიშვალდებულების ერთიანი მექანიზმი, რადგან სკოლებს აქვთ ანგარიშვალდებულება, რომელიც შეუძლიათ მხარდაჭერის მექანიზმად გამოიყენონ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სად გვაქვს პრობლემები ამა თუ იმ სკოლის მიმართულებით.

რაც შეეხება საატესტატო გამოცდებს, როგორც შეფასების ინსტრუმენტს ატესტატის მისაღებად თუ მისაღებ გამოცდებში ჩასართვად, აქ უფრო სხვა სისტემაა საჭირო. ჩემი აზრით, შეუძლებელია ცენტრალიზებული შეფასება, თუმცა, მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შეფასება, მათ შორის, სკოლის მიერ დანიშნული გამოცდა, განსაკუთრებით ზედა კლასებში. როგორ მოხდება ამ სისტემის დანერგვა, ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა, რაც ძალიან ცუდია.

– გიორგი ჭაუჭიძემ, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს დაჯილდოებაზე, ძალიან საყურადღებო გზავნილი გააკეთა – მეტი თავისუფლება უსურვა მინისტრს და განათლების სისტემას. როგორია დღევანდელი სკოლის თავისუფლების ხარისხი?

– რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, სისტემა თავისუფალი არ არის და ვერც იქნება იმ ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის, სკოლის დირექტორების, რესურსცენტრების თუ მასწავლებლების პირობებში, რომლებიც ერთმანეთის მორჩილებაზე არიან დამყარებული. მინისტრი არ არის თავისუფალი სამთავრობო წნეხისგან, სამწუხაროდ, პარტიული ლიდერების შიშის ქვეშ იმყოფება, შესაბამისად, არც გადაწყვეტილებებშია თავისუფალი; მოადგილეები მინისტრის მორჩილების ქვეშ იმყოფებიან; დეპარტამენტის თითოეული თანამშრომელი უფროსის მორჩილებაშია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურის შიგნით ძალიან კვალიფიციური კადრები გვყავს, მათი მთავარი ორიენტირია, რა გამოსავალი მოუძებნონ მინისტრის, პრემიერ-მინისტრის თუ სხვების ახირებულ გადაწყვეტილებებს, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ გადაწყვეტილების მიღება მათაც ხელეწიფებოდეთ, არამედ მუდმივად ცდილობენ, თუ რომელიმე მინისტრი, მაგალითად, სასწავლო გეგმის პირადი მოსაზრებების მიხედვით შეცვლას მოინდომებს, ეს სასწავლო გეგმებშიც ასახონ და თან გამართლებაც უპოვონ. ეს ადამიანები მინისტრის პოზიციების გამყარებას ემსახურებიან და თავისუფლება, თავისთავად, გვერდზე იწევს.

გვყავს სკოლის დირექტორები, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკური ლოიალობის ნიშნითაა დანიშნული და არა თავისუფლების მაღალი ხარისხით, რეფორმების განსახორციელებლად; გვყავს მასწავლებლები, რომლებსაც მორჩილება ურჩევნიათ, ცენტრალიზებულად მითითებების შესრულება, ვიდრე ყოველდღიურ რეჟიმში თავისუფალი ქმედება; ისეთი მასწავლებლებიც გვყავს, რომლებიც ვერც მოსწავლის თავისუფლებას იცავენ და ვერც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობების თავისუფლებას. შესაბამისად, ასეთი სისტემის ქვეშ მყოფთა თავისუფლებაზე საუბარი ცოტა ზედმეტია.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რამდენად უნდათ ეს თავისუფლება ადამიანებს, რომლებიც სისტემას ემსახურებიან. სამწუხაროდ, უმეტესად, არ სურთ – ეს მხოლოდ ზოგად განათლებას არ ეხება, იმავეს ვიტყვი უმაღლეს განათლებაზეც. მათ არ სჭირდებათ თავისუფლება, მათ შორის არც აკადემიური თავისუფლება. ამის კონკრეტული დადასტურება იყო, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებს შესთავაზეს თვითონ მოეფიქრებინათ მექანიზმი როგორ მიიღებდნენ სტუდენტებს. პირდაპირ უარი განაცხადეს, ურჩევნიათ, ამ საქმეს ისევ შეფასებისა და გამოცდების ცენტრი ასრულებდეს. ისევე, როგორც კურიკულუმის განვითარების თვალსაზრისით ავტონომიას, ურჩევნიათ განვითარების ცენტრის მიერ მიწოდებული შაბლონის ფორმალურად შევსება. ამიტომ, ჩვენ თავისუფლების სურვილის პრობლემა უფრო გვაქვს. სისტემაში მყოფ ადამიანებს უფრო მეტად ხიბლავთ მმართველობა, სადაც მათი პასუხისმგებლობა მინიმალურია, თავისუფლება კი დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს – თვითონ ხდები პასუხისმგებელი შენს გადაწყვეტილებაზე. სამწუხაროდ, პასუხისმგებლობის აღების სურვილი ნაკლებია, შესაბამისად – თავისუფლების სურვილიც. აქედან გამომდინარე, გვაქვს უპასუხისმგებლო და არა თავისუფალი სისტემა, რომლის ქვეშაც გვიწევს ზოგადი თუ უმაღლესი განათლების მიცემა მომავალი თაობისთვის.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ETNIK AZLIQLARIN MÜƏLLIMLƏRININ REALLIQLARI VƏ EHTIYACLARI

„QEYRI-GÜRCÜDILLI MƏKTƏBLƏRƏ DƏSTƏK“ PROQRAMI HANSI YENILIKLƏRI TƏKLIF EDIR

Müəllimlərin Peşəkar İnkişafı Milli Mərkəzi milli azlıqların müəllimləri üçün „Qeyri-gürcüdilli məktəblərə dəstək“ proqramını həyata keçirir. Bu başlıq altında proqram cari ildən həyata keçirilir, eləcə də artıq həyata keçirilmiş proqramları da əhatə edir – „İkinci dil kimi, gürcü dilini öyrədək“ və „Gələcək nailiyyət üçün gürcü dili“. Müvafiq olaraq, Mərkəz tərəfindən 2009-cu ildən etibarən qeyri-gürcüdilli müəllimlərə dəstəyin verilməsi aktiv şəkildə başlanılmış və bu müddət ərzində etnik azlıqların cəmiyyətə inteqrasiyasına dəstəyin verilməsi məqsədilə bir çox fəallıqlar həyata keçirilmişdir.

Bilavasitə diqqət hansı istiqamətlərə edilir, gerçək nəticələr necədir və proqram çərçivəsində hansı yeniliklər tətbiq ediləcəkdir, - bunun haqqında qeyri-gürcüdilli məktəblərə dəstəyin verilməsi proqramının rəhbəri Tamar Kekelidze söhbət edir:

– Proqram çərçivəsində fəallıqlar bir neçə istiqamətdə həyata keçirilir. Ən vacib istiqamətlərdən biri qeyri-gürcüdilli məktəblərin kadr qıtlığının doldurulmasıdır ki, bu da müəllimlərin üç qrupunun müvafiq məktəblərə ezam edilməsini nəzərdə tutur.

Bunlar ikinci dilin peşəkarları olan konsultant-müəllimlərdir və onlar da məktəblərdə "İkinci dil kimi gürcü dili" dərslərini aparırlar. Bununla yanaşı, yerli kadrların peşəkar inkişafına qayğı göstərir və onlarla konsultasiyalar keçirirlər. Eləcə də proqram çərçivəsində köməkçi müəllimlər qrupu ezam edilmişlər, o cümlədən də gürcüdilli və etnik azlıqların təmsilçisi olan ikidilli köməkçilər. Bu köməkçilər gürcü dilində hazırlıq təhsil proqramını keçmişlər (1+4 proqram).

– Proqram çərçivəsində hansı yeniliklər var?

– Proqram etnik azlıqların məktəblərinin yerli müəllimlərinə dövlət dilinin təlim kursunu təklif edir. Onların bu imkanları keçən illərdə də var idi, amma müəyyən fasilədən sonra cari ildə artıq ikinci cərəyanla işə başladıq. Birinci cərəyana 306 dinləyici cəlb olunmuşdu.

Qeyri-gürcüdilli məktəblərin ikinci dil kimi, gürcü dili yerli müəllimləri üçün fənnin tədrisinin metodik kursu çox vacib bir yenilikdir. Uzunmüddətli kurs bir neçə treninq-modulu birləşdirir – oxu bacarıqlarının inkişafı, dinləmə-danışma istiqaməti, yazı bacarıqlarının inkişafı, leksika, qrammatika və s. Qeyd edilən kurs çərçivəsində qeyri-gürcüdilli məktəblərin ikinci dil kimi gürcü dil müəllimləri iyun-avqust aylarında oxu və dinləmə-danışma istiqamətlərində treninq-modulları keçmişlər. Düşünürəm ki, bu, qeyri-gürcüdilli müəllimlər üçün çox mühüm bir imkandır və bunu da onlar tərəfindən aldığımız müsbət əks-səda təsdiq edir. Qeyd etmək istəyirəm ki, qeyri-gürcüdilli məktəblərin ikinci dil kimi gürcü dilinin yerli müəllimlərinin bu günə qədər oxşar imkanları olmamışdır. Birinci modul başa çatdıqdan sonra, təbii ki, növbəti modulları daha da təkmilləşdirmək istəyimiz yarandı. Bundan irəli gələrək, dinləyicilər üçün sorğu kitabçasını işləyib hazırladıq və alınan məlumatın analizi əsasında növbəti treninq-modulu planlaşdırdıq. Bu mərhələdə, proqram çərçivəsində, yazı istiqamətinin treninq-modulu üzrə işlər davam edir. Metodiki treninqdən başqa, proqram çərçivəsində cari ilin oktyabrında hədəf məktəblərinin ikinci dil kimi gürcü dilinin yerli müəllimlərinə kompetensiyalarının təsdiqlənməsi üçün hazırlıq treninqləri keçirildi.

– Gəlin, bilavasitə treninq-modul barəsində danışaq. Təcrübəyə yönəlmiş modul nəyi nəzərdə tutur?

– Treninq-modul proqramın konsultant-müəllimlərinin müəyyən qrupu tərəfindən işlənib-hazırlanmış və buna da "İkinci dil kimi gürcü dili" proqramının ekspert-konsultantı rəhbərlik edir. Modulu yerli həmkarlarla aktiv əməkdaşlıq edən, etnik azlıqlardan olan şagirdlərə tədris edən insanlar tərtib etmişlər. Belə ki, onlar milli azlıqların ehtiyaclarını dəqiq bilirlər, şagirdlərə nəyisə öyrətməyin necə asan olduğunu bilirlər ki, yeni məlumatı necə çatdırsınlar. Müvafiq olaraq, mənim üçün nəzəri materiala paralel olaraq, modulun əsasən praktiki fəallıqları nəzərdə tutduğu çox vacibdir ki, hansı məsələnin üzərində necə işləsinlər, hansı fəallıq daha effektivdir və s. Çox canlı bir prosesdir və müəllimlər tərəfindən də müvafiq əks-səda aldıq.

Birinci modulun (oxu istiqaməti) çərçivəsində 303 dinləyici müsbət qiymətləndirmə aldı, ikincini isə 216 dinləyici nailiyytlə keçdi. Treninqi proqramımızın konsultant-müəllimləri – ikinci dilin peşəkar müəllimləri aparırlar və onlar da bu istiqamətdə artıq uzun müddətdir işləyirlər və çox dəyərli təcrübəyə malikdirlər. Modul müəlliflərindən biri Qiorqi Çauçidzedir. O, 2019-cu ildə Müəllimlərin Milli mükafatına layiq görülmüşdür.

– Etnik azlıqların məktəblərində daha çox hansı problemlər baş qaldırırlar? Ən böyük problem haradadır?

– Mənim fikrimcə, ən böyük problem yenə də müəllimlərin peşəkarlığıdır. Əksər hallarda, məktəblərdə yaşlı müəllimlər tədris edirlər və onların əksəriyyətinin öz peşəkar inkişaflarına qayğı göstərmələrinə motivasiyaları yoxdur. Buna administrasiya problemi də əlavə olunur. Direktorun müəllimin peşəkar inkişafına nə dərəcədə dəstək verməsinin də çox böyük əhəmiyyəti var.

– Real olaraq 1+4 proqramı etnik azlıqlar üçün nə etmişdir?

– Cari ildə proqrama 72 ikidilli köməkçi müəllim cəlb olunmuşdur. Bu müəllimlər 1+4 proqramının məzunlarıdır. Mütləq qeyd etməliyəm ki, iki akademik il proqramda iştirakdan sonra proqram köməkçi müəllimlərin magistr pilləsində Milli Tədris planı ilə nəzərdə tutulmuş fənlərin istiqamətində təhsil haqqını maliyyələşdirəcəkdir.

Proqram ikidilli köməkçi müəllimlərin sayını artırmağı planlaşdırır. Bir tərəfdən, bununla müəllimlik peşəsinin yayılmasına, digər tərəfdən gənclərin onların kəndlərində/məktəblərində işlə təmin olunmalarına dəstək veririk.

– Məlum olduğu kimi, bu il etnik azlıqların nümayəndələri olan şagirdlər gürcü dilinin yeniləşdirilmiş dərsliklərini alacaqlar.

– Bir vaxtlar "Gürcü dili gələcək nailiyyət üçün" proqramı çərçivəsində (2011-2013 illərdə) etnik azlıqların nümayəndələri olan şagirdlər üçün gürcü dili dərsliyi işlənib hazırlanmış və bu kitab əsasında "Gürcü dili ikinci dil kimi" fənni tədris edilirdi. Artıq bir neçə ildir ki, dərsliyin I-VI səviyyəsinin qıtlığı yaranmışdır. Buna görə də Mərkəz qərar qəbul etdi ki, cüzi düzəlişlərdən sonra qeyd edilən dərslik yenidən çap olunsun. Təbii ki, məktəblərdən lazımi sayına dair məlumat aldıq. Bu mərhələdə dərslik çap edilmiş və yaxın zamanlarda məktəblərə çatdıracağıq.

"İkinci dil kimi gürcü dili" istiqamətində əlavə dərs resurslarını işləyib-hazırlamağı düşünürük ki, bu da müəllimə dərsi daha da rəngarənglişdirməyə və zənginləşdirməyə imkan verəcəkdir.

– Qeyri-gürcüdilli məktəblərdə müəllimlərin vakansiyaları dolmuşdurmu və ya yox?

– Məktəblərdə mövcud vakansiyaların çox hissəsi məktəblər tərəfindən elan edilmiş müsabiqə çərçivəsində dolmuşdur. Müəllimlər Evi müvafiq kadrları seçə bilməyən məktəblərə müxtəlif proqram çərçivəsində ezam edilmiş müəllimlərlə yardım etdi və yenə də yardım edəcəkdir.

– Etnik azlıqların müəllimləri arasında axtarıcı müəllimlər varmı?

– Elə bir hallar var ki, bu zaman köməkçi müəllim işlədikdən sonra etnik azlıqların nümayəndələri olan müəllimlər axtarıcı müəllim kimi işlərini davam etdirirlər.

– Qeyri-gürcüdilli müəllimlər "Müəllimin milli məktəbinə" cəlb olunacaqlarmı?

– Mənə məlum olduğu kimi, müvafiq kriterilərə cavab verdikdən sonra "Müəllimin milli məktəbinə" cəlb olunmaq imkanı etnik azlıqların nümayəndələrinin də olacaqdır.

Söhbəti Lali Celadze apardı
Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘ

ᲠᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲡ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ „ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ“ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ „ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ“ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ – „ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲜᲐ“ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ 2009 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ.

ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲠᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲗᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲗᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ:

– პროგრამის ფარგლებში აქტივობები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის შევსება, რაც გულისხმობს მასწავლებელთა სამი ჯგუფის მივლენას შესაბამის სკოლებში. ესენი არიან კონსულტანტ-მასწავლებლები, როგორც მეორე ენის კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც სკოლებში „ქართულის როგორც მეორე ენის“ გაკვეთილებს ატარებენ. ამასთანავე ზრუნავენ ადგილობრივი კადრების პროფესიულ გავითარებაზე და კონსულტირებას უწევენ მათ. ასევე, პროგრამის ფარგლებში, მივლენილია დამხმარე მასწავლებელთა ჯგუფი, მათ შორის არიან ქართულენოვანი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ორენოვანი დამხმარეები, რომლებსაც გავლილი აქვთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (1+4 პროგრამა).

– რა სიახლეებია პროგრამის ფარგლებში?

– პროგრამა ეთნიკური უმცირესობების სკოლების ადგილობრივ მასწავლებლებს სახელმწიფო ენის შემსწავლელ კურსს სთავაზობს. ამის შესაძლებლობა მათ გასულ წლებშიც ჰქონდათ, თუმცა გარკვეული პაუზის შემდეგ, მიმდინარე წელს, უკვე მეორე ნაკადთან დავიწყეთ მუშაობა. პირველ ნაკადში 306 მსმენელი იყო ჩართული.

არაქართულენოვანი სკოლების ქართულის როგორც მეორე ენის ადგილობრივი მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა საგნის სწავლების მეთოდური კურსი. გრძელვადიანი კურსი რამდენიმე ტრენინგ-მოდულს აერთიანებს — კითხვის უნარების განვითარება, მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება, წერის უნარების განვითარება, ლექსიკა, გრამატიკა და ა.შ. აღნიშნული კურსის ფარგლებში, არაქართულენოვანი სკოლების ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა, ივნის-აგვისტოში, კითხვისა და მოსმენა-ლაპარაკის მიმართულებების ტრენინგ-მოდულები გაიარეს. ვფიქრობ, რომ ეს არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რასაც ის პოზიტიური გამოხმაურებაც ადასტურებს, რომელიც მათი მხრიდან მივიღეთ. მინდა აღვნიშნო, რომ არაქართულენოვანი სკოლების ქართულის როგორც მეორე ენის ადგილობრივ მასწავლებლებს აქამდე მსგავსი შესაძლებლობა არ ჰქონიათ. პირველი მოდულის დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, სურვილი გვქონდა, შემდგომი მოდულები კიდევ უფრო დაგვეხვეწა. აქედან გამომდინარე, მსმენელებისთვის შევიმუშავეთ კითხვარი და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დავგეგმეთ შემდეგი ტრენინგ-მოდული. ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს წერის მიმართულების ტრენინგ-მოდულზე მუშაობა. გარდა მეთოდური ტრენინგისა, სამიზნე სკოლების ქართულის როგორც მეორე ენის ადგილობრივ მასწავლებლებს, პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში, მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურებისთვის, მოსამზადებელი ტრენინგი ჩაუტარდათ.

– უშუალოდ ტრენინგ-მოდულზე რომ ისაუბროთ, რას ითვალისწინებს პრაქტიკაზე ორიენტირებული მოდული?

– ტრენინგ-მოდული შემუშავებულია პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლების გარკვეული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის „ქართული როგორც მეორე ენა“ ექსპერტ-კონსულტანტი. მოდული იმ ადამიანებმა შექმნეს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ კოლეგებთან, ასწავლიან ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს. ამდენად, მათ ზუსტად იციან მათი საჭიროებები, იციან როგორ გაუმარტივდებათ მოსწავლეებს რაღაცის სწავლა – როგორ მიაწოდონ ახალი ინფორმაცია. შესაბამისად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოდული, თეორიული მასალის პარალელურად, დიდწილად ითვალისწინებს პრაქტიკულ აქტივობებს – რომელი საკითხი როგორ უნდა დაამუშაონ, რომელი აქტივობაა უფრო ეფექტური და ა.შ. ძალიან ცოცხალი პროცესია და შესაბამისი გამოხმაურებაც მივიღეთ მასწავლებლების მხრიდან.

პირველი მოდულის (კითხვის მიმართულება) ფარგლებში, დადებითი შეფასება 303-მა მსმენელმა მიიღო, მეორე კი 216-მა მსმენელმა გაიარა წარმატებით. ტრენინგს ატარებენ ჩვენი პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები – მეორე ენის კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც დიდი ხანია უკვე ამ მიმართულებით მუშაობენ და ძალიან ღირებული გამოცდილება აქვთ. მოდულის ერთ-ერთია ავტორია პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებელი გიორგი ჭაუჭიძე, რომელიც 2019 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდა.

– უფრო მეტად რა პრობლემები იჩენს თავს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში? სად არის ყველაზე დიდი პრობლემა?

– ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც მასწავლებლების კვალიფიკაციაა. ხშირ შემთხვევაში, სკოლებში ასწავლიან ასაკოვანი მასწავლებლები, რომელთა უმრავლესობას აღარ აქვს მოტივაცია იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამას თან ერთვის ადმინისტრაციის პრობლემაც. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად უწყობს დირექტორი ხელს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული განვითარება

– რეალურად რა გააკეთა ეთნიკური უმცირესობებისთვის 1+4 პროგრამამ?

– მიმდინარე სასწავლო წელს პროგრამაში 72 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელია ჩართული, ისინი 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ დამხმარე მასწავლებლებს, პროგრამაში ორი აკადემიური წლის მონაწილეობის შემდეგ, სამაგისტრო საფეხურზე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიმართულებით, სწავლის საფასურს პროგრამა უფინანსებს.

პროგრამა გეგმავს ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების რაოდენობის ზრდას. ერთი მხრივ, ამით ხელს ვუწყობთ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, ახალგაზრდების შემოყვანას პროფესიაში მათივე სოფელში/სკოლაში დასაქმებას.

– როგორც ცნობილია, წელს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები ქართული ენის განახლებულ სახელმძღვანელოებს მიიღებენ...

– თავის დროზე, პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში (2011-2013 წლებში), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის შეიქმნა ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლითაც „ქართულის როგორც მეორე ენის“ სწავლება მიმდინარეობდა. ბოლო რამდენიმე წელია, სახელმძღვანელოს I-VI დონის დეფიციტი შეიქმნა. ამიტომ, ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება, მცირე რედაქტირების შემდეგ, თავიდან დაებეჭდა აღნიშნული სახელმძღვანელო. ბუნებრივია, სკოლებისგან გამოვითხოვეთ ინფორმაცია საჭირო რაოდენობის შესახებ. ამ ეტაპზე სახელმძღვანელო დაბეჭდილია და სულ მალე მივაწვდით სკოლებს.

ვფიქრობთ, „ქართულის, როგორც მეორე ენის“ მიმართულებით დამატებითი სასწავლო რესურსების შექმნაზე, რაც შესაძლებლობას მისცემს მასწავლებელს კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს და გაამდიდროს გაკვეთილი.

– შეივსო თუ არა მასწავლებელთა ვაკანსიები არაქართულენოვან სკოლებში?

– სკოლებში არსებული ვაკანსიების დიდი ნაწილი შეივსო, სკოლების მიერ გამოცხადებული კონკურსების ფარლგებში. თუმცა, იმ სკოლებს, სადაც შესაბამისი კადრი ვერ შეირჩა, მასწავლებლის სახლი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მივლენილი მასწავლებლებით დაეხმარა და კიდევ დაეხმარება.

– ჰყავს თუ არა ეთნიკურ უმცირესობებს მაძიებელი მასწავლებლები?

– გვაქვს შემთხვევები, როდესაც დამხმარე მასწავლებლად მუშაობის შემდეგ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მაძიებელ მასწავლებლად აგრძელებენ მუშაობას.

– „მასწავლებლის ეროვნულ სკოლაში“ ჩაერთვებიან თუ არა არაქართულენოვანი მასწავლებლები?

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „მასწავლებლის ეროვნულ სკოლაში“, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ჩართვის შესაძლებლობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

Իրականությունը, որում գտնվում են ազգային փոքրամասնությունների ուսուցիչները, և նրանց անհրաժեշտությունները

Ինչ նորություններ է առաջարկում «Ոչ վրացալեզու դպրոցների աջակցության» ծրագիրը

Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման ազգային կենտրոնը ազգային փոքրամասնությունների ուսուցիչների համար իրականացնում է «Ոչ վրացալեզու ուսուցիչների աջակցության» ծրագիր: Այս անվանումով ծրագիրն իրականացվում է ընթացիկ տարվանից, թեև, այն ներառում է նաև իրականացված այլ ծրագրեր «Ուսուցանենք վրացերենը, որպես երկրորդ լեզու» և «Վրաց լեզուն ապագա հաջողության համար»: Համապատասխանաբար, Կենտրոնի կողմից ոչ վրացալեզու մանկավարժների ակտիվ աջակցությունը սկսվել է 2009 թվականից և այս ժամանակվա ընթացքում ազգային փոքրամասնությունների՝ հասարակությանն ինտեգրմանն աջակցելու նպատակով բազմաթիվ ակտիվություններ են իրականացվել: Կոնկրետ որ ուղղությունների վրա է արվում շեշտադրումը, ինչպիսին են իրական արդյունքները և ինչ նորություններ կներդրվեն ծրագրի շրջանակներում, - այդ մասին մեզ հետ զրուցել է Ոչ վրացալեզու դպրոցների աջակցության ծրագրի ղեկավար Թամար Կեկելիձեն:

– Ծրագրի շրջանակներում ակտիվություններն իրականացվում են մի քանի ուղղություններով: Կարևորագույն ուղղություններից մեկն է ոչ վրացալեզու դպրոցների հաստիքային պակասի լրացումը, ինչը ենթադրում է ուսուցիչների երեք խմբի գործուղում համապատասխան դպրոցներ: Նրանք խորհրդատու-ուսուցիչներ են, որպես երկրորդ լեզվի որակյալ մանկավարժներ, ովքեր դպրոցներում «վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի» դասեր են անցկացնում: Բացի այդ, նրանք հոգ են տանում տեղի կադրերի մասնագիտական զարգացման մասին և խորհրդատվություններ անցկացնում նրանց համար: Ծրագրի շրջանակներում գործուղված է նաև օժանդակ ուսուցիչների խումբ, այդ թվում, վրացալեզու և էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչ երկլեզու օժանդակ ուսուցիչներ, ովքեր անցել են Վրաց լեզվի նախապատրաստական կրթական ծրագիրը (1+4 ծրագիրը):

– Ի՞նչ նորություններ կան ծրագրի շրջանակներում:

– Ծրագիրն ազգային փոքրամասնությունների դպրոցների տեղի ուսուցիչներին առաջարկում է պետական լեզվի ուսուցման դասընթաց: Նրանք այդ հնարավորությունն ունեցել են նաև նախորդ տարիներին, սակայն, որոշակի դադարից հետո ընթացիկ տարում մենք արդեն սկսեցինք աշխատել երկրորդ հոսքի հետ: Առաջին հոսքում ներգրավված էր 306 ունկնդիր:

Ոչ վրացալեզու դպրոցների վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի, տեղի ուսուցիչների համար շատ կարևոր նորություն է առարկայի ուսուցման մեթոդական դասընթացը: Երկարաժամկետ դասընթացը համատեղում է մի քանի թրեյնինգային մոդուլներ. կարդալու հմտությունների զարգացում, լսելու-խոսելու ուղղություն, գրավոր հմտությունների զարգացում, բառապաշար, քերականություն և այլն: Տվյալ դասընթացի շրջանակներում ոչ վրացալեզու դպրոցների վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի, ուսուցիչները հունիս-օգոստոս ամիսներին անցել են ընթերցանության և լսելու ու խոսելու ուղղությունների թրեյնինգային մոդուլներ: Կարծում եմ, որ սա շատ կարևոր հնարավորություն է ոչ վրացալեզու ուսուցիչների համար, ինչը հաստատվում է նաև այն դրական արձագանքներով, որ ստացանք նրանցից: Կցանկանայի նշել, որ ոչ վրացալեզու դպրոցների վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի, ուսուցիչները մինչ այժմ նման հնարավորություն չեն ունեցել: Առաջին մոդուլն ավարտելուց հետո մենք, բնականաբար, ցանկացանք էլ ավելի կատարելագործել հետագա մոդուլները: Այստեղից ելնելով՝ մենք ունկնդիրների համար կազմել ենք հարցաթերթիկ և ստացված տեղեկատվության վերլուծության հիման վրա պլանավորել հաջորդ թրեյնինգային մոդուլը: Այս փուլում ծրագրի շրջանակներում աշխատանքներ են ընթանում գրելու ուղղության թրեյնինգային մոդուլի վրա: Բացի մեթոդական դասընթացից, թիրախային դպրոցների վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի, տեղի ուսուցիչների համար ծրագրի շրջանակներում անհրաժեշտ է ուսուցչի իրավասությունների հավաստման համար նախապատրաստական թրեյնինգներ անցկացնել ընթացիկ տարվա հոկտեմբերին:

- Եթե խոսեք կոնկրետ թրեյնինգային մոդուլի մասին, ի՞նչ է նշանակում պրակտիկային միտված մոդուլը:

- Թրեյնինգային մոդուլը մշակվել է ծրագրի խորհրդատու- ուսուցիչների խմբի կողմից, որը ղեկավարում է ծրագրի՝ «վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի» փորձագետ- խորհրդատու: Մոդուլը ստեղծվել է այն մարդկանց կողմից, ովքեր ակտիվ համագործակցում են տեղի գործընկերների հետ, դասավանդում են էթնիկ փոքրամասնությունների աշակերտներին: Այսպիսով, նրանք ճշգրիտ գիտեն իրենց կարիքները, նրանք գիտեն, թե ինչպես է անհրաժեշտ հեշտացնել ուսուցիչների համար ինչ-որ բան սովորելը՝ ինչպես տրամադրել նոր տեղեկատվությունը: Հետևաբար, ինձ համար շատ կարևոր է, որ մոդուլը, տեսական նյութի հետ մեկտեղ, մեծ մասամբ նախատեսում է գործնական գործողություններ որ հարցը ինչպես պետք է մշակեն, որ գործողություններն են առավել արդյունավետ և այլն: Շատ աշխույժ գործընթաց է, և ուսուցիչներից ստացանք համապատասխան արձագանքներ:

Առաջին մոդուլի (ընթերցանության ուղղություն) շրջանակներում դրական գնահատական ստացավ 303 ունկնդիր, իսկ երկրորդ մոդուլը հաջողությամբ անցավ 216 ունկնդիր: Թրեյնինգն անցկացնում են մեր ծրագրի խորհրդատու-ուսուցիչներ՝ երկրորդ լեզվի որակյալ ուսուցիչներ, ովքեր երկար ժամանակ արդեն աշխատում են այս ոլորտում և ունեն արժեքավոր փորձ: Մոդուլի հեղինակներից մեկը ծրագրի խորհրդատու-ուսուցիչ Գիորգի Ճաուճիձեն է, ով 2019-ին արժանացել է ուսուցիչների ազգային մրցանակին:

– Ի՞նչ խնդիրներ են ավելի շատ առաջանում էթնիկ փոքրամասնությունների դպրոցներում: Որտե՞ղ է ամենամեծ խնդիրը:

- Ըստ իս, ամենամեծ խնդիրը, բայցևայնպես, ուսուցիչների որակավորումն է: Հաճախ դպրոցներում դասավանդում են տարեց ուսուցիչներ, որոնց մեծ մասն այլևս չունի մոտիվացիա հոգ տանելու սեփական մասնագիտական զարգացման մասին: Սա ուղեկցվում է կառավարման խնդրով: Շատ կարևոր է, թե ինչպես է տնօրենը նպաստում ուսուցիչների մասնագիտական զարգացմանը:

– Ի՞նչ է իրականում արել 1 + 4 ծրագիրը էթնիկ փոքրամասնությունների համար:

- Ընթացիկ ուսումնական տարում ծրագրում ներգրավված է 72 երկլեզու օժանդակ ուսուցիչ, ովքեր 1 + 4 ծրագրի շրջանավարտներ են: Անպայման կցանկանայի շեշտել, որ ծրագրին երկու ուսումնական տարի մասնակցելուց հետո, մագիստրոսական աստիճանում Ազգային ուսումնական պլանով նախատեսված առարկաների ուղղությամբ ուսումը շարունակելու դեպքում, օժանդակ ուսուցիչների ուսման վարձը ֆինանսավորում է ծրագիրը:

Ծրագիրը պլանավորում է ավելացնել երկլեզու օժանդակ ուսուցիչների թիվը: Մի կողմից՝ մենք նպաստում ենք ուսուցչի մասնագիտության հանրաճանաչացմանը, մյուս կողմից՝ երիտասարդներին մասնագիտություն բերելուն իրենց իսկ գյուղում / դպրոցում:

– Ինչպես հայտնի է, այս տարի էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչ աշակերտները կստանան վրացերենի նորացված դասագրքեր...

- Ժամանակին «Վրաց լեզուն ապագա հաջողության համար» ծրագրի շրջանակներում (2011-2013 թվականներին) էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչ աշակերտների համար մշակվել էր վրացերենի դասագիրք, որով ընթանում էր «Վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի» դասավանդումը: Վերջին մի քանի տարիների ընթացքում առաջացել է I-VI մակարդակի դասագրքերի պակաս: Հետևաբար, Կենտրոնը որոշում կայացրեց որոշ փոքր խմբագրումից հետո տվյալ դասագիրքը կրկին տպագրել: Բնականաբար, դպրոցներից խնդրեցինք տեղեկատվություն դասագրքերի պահանջվող քանակի վերաբերյալ: Այս պահին դասագիրքը տպագրվել է, և մենք շուտով կհասցնենք այն դպրոցներին:

Մտածում ենք «Վրացերենի, որպես երկրորդ լեզվի» ուղղությամբ լրացուցիչ ուսումնական ռեսուրսների ստեղծման մասին, ինչը ուսուցչին հնարավորություն կտա էլ ավելի բազմազանացնել և հարստացնել դասը:

- Արդյոք ոչ վրացալեզու դպրոցներում լրացվե՞լ են ուսուցիչների թափուր տեղերը:

- Դպրոցներում թափուր աշխատատեղերի մեծ մասը լրացվել է դպրոցների կողմից հայտարարված մրցույթների շրջանակներում: Սակայն, այն դպրոցներին, որտեղ համապատասխան կադր հնարավոր չի եղել ընտրել, Ուսուցչի տունն օգնել է տարբեր ծրագրերի շրջանակներում գործուղված ուսուցիչներով և կրկին կօգնի:

– Ունե՞ն արդյոք էթնիկ փոքրամասնությունները հայցորդ ուսուցիչներ:

– Մենք ունենք դեպքեր, երբ օժանդակ ուսուցիչ աշխատելուց հետո էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչները որպես հայցորդ ուսուցիչ են շարունակում աշխատել:

- «Ուսուցիչների ազգային դպրոցում» կներգրավվե՞ն արդյոք ոչ վրացալեզու ուսուցիչներ:

- Որքանով ինձ հայտնի է, «Ուսուցիչների ազգային դպրոցում» համապատասխան չափանիշները բավարարելու դեպքում, ներգրավվելու հնարավորություն ունեին նաև ազգային փոքրամասնությունների ներկայացուցիչները:

Հարցազրույցը վարեց Լալի Ջելաձեն
Թարգմանությունը՝ Ջոյա Մխիթարյանի

ახალი ამბები

„კულტურა საზღვრებს გარეშე“ მერეთში

პროექტის „კულტურა საზღვრებს გარეშე“ ფარგლებში, ხელოვანებმა და მეცნიერებმა სოფელ მერეთის ადგილობრივ მოსახელობასთან შეხვედრა გამართეს. ახალგაზრდებისთვის მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების პრეზენტაცია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების საარქივო ფონდების განყოფილების უფროსმა, მეცნიერმა **მაია მიქაბერიძემ** პრეზენტაცია გამართა თემაზე „ქართული წიგნის ისტორია“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ნინო პოპიაშვილმა** კი

ახალგაზრდებთან ისაუბრა თემაზე: „ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა თარგმანებში“; ღონისძიებების ფარგლებში, სოფელ მერეთის საჯარო სკოლის ეზოში მდებარე „სკვერის ბიბლიოთეკას“ გადაეცა გამოცემები, მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენა. მწერალმა **ბაღათურ არაბულმა** შოთა ნიშნიანიძის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოცემის პრეზენტაცია და ბოლო დროის ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება გამართა.

პროექტი მერეთში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მხარდაჭერით განხორციელდა.

გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინე აბულაძემ**, 2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მოსწავლეებს კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათები და დიპლომები გადაეცათ.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და მასში საჯარო და კერძო სკოლების 35000-მდე მოსწავლე მონაწილეობს. 2018-2019 სასწავლო წელს ოლიმპიადა შემდეგ საგნებში ჩატარდა: ქართული ენა და ლიტერატურა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის), მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული) და ინფორმატიკა. ოლიმპიადა, ასევე, ჩატარდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. მონაწილეობა შეეძლოთ უსინათლო მოსწავლეებსაც (გამოყენებულია ბრაილის შრიფტი).

ოლიმპიადა 3 ეტაპს – სასკოლო, რეგიონულ და დასკვნით ტურებს მოიცავდა.

სამუშაო ვიზიტი მოლდოვაში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ლევან ხარატიშვილმა**, ევროპის საბჭოს მისიის ფარგლებში, მოლდოვას რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ორმხრივი შეხვედრები გამართა. შეხვედრების დროს საუბარი შეეხო კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით ეფექტური რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავებასა და ახალი სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კულტურის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორზე.

ლევან ხარატიშვილმა მოლდოველ კოლეგებს, კულტურის სფეროს რეფორმირებისა და კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ქართული მხარის გამოცდილება გაუზიარა; ამ ეტაპზე, მოლდოვის რესპუბლიკა „კულტურის სტრატეგია 2030“-ის დოკუმენტზე მუშაობს, რაშიც ქართული გამოცდილების, როგორც ევროპის საბჭოს საუკეთესო მაგალითის, გაზიარება და რეკომენდაციები უმნიშვნელოვანესია.

ვიზიტის დროს, ასევე, დაიგეგმა ორ ქვეყანას შორის განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა.

საერთაშორისო პროექტი

მომავლის პარტნიორები

ქართულ-ამერიკული სკოლა-Georgian-American School და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა ტრადიციულად ზრუნავს დასახული მიზნების მიღწევასა და საერთაშორისო დონეზე სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულს ცხადყოფს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჩვენი სკოლების მიერ დაწყებული პროექტი „მომავლის პარტნიორები“ (PASCH), რომლის ფარგლებშიც, გერმანიის ქალაქ შტრაუბინგის სკოლა – „Insitut für Hören und Sprache“ დაუმეგობრდა ქართულ-ამერიკულ სკოლას-Georgian-American School და ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას. პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გერმანული ენის მაღალ დონეზე დაუფლება და მოსწავლეებში ენისადმი ინტერესის გაღრმავებაა.

პროექტის მიმდინარეობა: ურთიერთობისა და მოლაპარაკების პირველი ეტაპი, 2018 წლიდან, ინტერნეტის საშუალებით შედგა. ქართველი და გერმანელი ბავშვები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ შემოქმედებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ქმნიდნენ ვიდეორგოლებს. გერმანიაში გაიგზავნა ჩვენი მოსწავლეების მიერ გადაღებული გერმანულენოვანი ფილმი: „Einstein und seine Faerte“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც გერმანელ მოსწავლეებში, ასევე მათ პედაგოგებსა და სკოლის დირექციაში. თანამშრომლობის საფუძველზე, გერმანულ ენაზე განხორციელდა პროექტი „მსოფლიო ემიგრაცია“, ჩვენმა მოსწავლეებმა, შვეიცარიელი მწერლის ფედერიკა დე სესკოს მოთხრობის მიხედვით, გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „Spagetti fuer zwei“.

პროექტის ფარგლებში, გერმანელ და ქართველ კოლეგებს შორის, მიმდინარეობდა ნამუშევრების – ფერწერული ნახატების გაცვლა, რომელიც შექმნილი იყო „ანიმალისტურ“ სტილში; განხორციელდა მუსიკალური პროექტები, რომლებიც ვიდეორგოლების სახით გადაეგზავნა გერმანულ მხარეს. პარალელურად, მიმდინარეობდა გერმანელი მოსწავლეების მიერ შექმნილი ვიდეორგოლების წარდგენა სასკოლო საზოგადოებისთვის და განხილვა ხელოვნების, მუსიკისა და გერმანული ენის გაკვეთილებზე.

პროექტის „მომავლის პარტნიორები“ ფარგლებში, ქართულ-ამერიკული სკოლის-Georgian-American School და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები და 15 მოსწავლე, 2019 წლის ოქტომბერში, ქ. შტაუბინგს ეწვივნენ. ჩვენი მოსწავლეები, გერმანელ მოსწავლეებთან ერთად, ესწრებოდნენ გაკვეთილებს, მონაწილეობდნენ დაგეგმილ პროექტებში ხელოვნების, კულინარიისა და სპორტის მიმართულებით.

სახალისო და შემეცნებითი პროექტების უმთავრესი სტრატეგია იყო სწავლა კეთებით. მოსწავლეების შერეულმა ჯგუფებმა ერთობლივად მოამზადეს გერმანული კერძები, იმუშავეს სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადზე გამოსახული ანგელოზების ფრესკების ანალოგების შექმნაზე, გაიმართა მუსიკალური ღონისძიებები. ქართველმა მოსწავლეებმა, გერმანელი მოსწავლეებისა და სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, დაათვალიერეს გერმანიის რამდენიმე ქალაქი და მათი ღირსშესანიშნაობები, მათ შორის: მიუნხენი, ენგლმარი, რეგენსბურგი, დინგოლფინგი.

საერთაშორისო პროექტი „მომავლის პარტნიორები“ გრძელდება. 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში, პროექტის სამოქმედო გეგმის მიხედვით, გერმანიის ქალაქ შტრაუბინგის სკოლის „Insitut für Hören und Sprache“ მოსწავლეები ეწვევიან საქართველოს, კერძოდ, ქართულ-ამერიკულ სკოლას-Georgian-American School და ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას.

მეგი ტალახაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნანა გველესიანი
გერმანული ენის პედაგოგი

მშობელთა მხარდასაჭერად

რა აწუხებთ მოსწავლეთა მშობლებს სკოლაში?!

ლალი ჯელაძე

არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ სატელეფონო ხაზზე – 219 60 80 – შემოსული ზარების მიხედვით შედგენილი ანგარიში გამოაქვეყნა. ორგანიზაციამ, განათლების კოალიციის მხარდაჭერითა და „გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის“ დაფინანსებით, განახორციელა პროექტი „მშობელთა შესაძლებლობების განვითარება“. ორ კომპონენტად დაყოფილი პროექტი სასკოლო სივრცეში, შვილების ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, ტრენინგებითა და მასტერკლასებით, მშობლების მხარდაჭერასა და მშობელთა ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

განათლების კოალიციის დირექტორი **გიორგი ჭანტურია** ამბობს, რომ კოალიციამ მშობელთა ჩართულობის შესახებ კვლევა 2017 წელს ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ მათი სასკოლო სივრცეში ჩართვის შემთხვევები საკმაოდ ფრაგმენტული იყო, ისიც საკუთარი ინიციატივის ხარჯზე. სკოლებს მშობლებთან თანამშრომლობის რაიმე ტიპის სტრატეგია არ გააჩნდათ. *„მშობელს, როგორც მოთამაშეს, არ აღიქვამენ, რაც ძალიან საგანგაშოდ მივიჩნიეთ. ამის შემდეგ გაჩნდა ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ და გადავწყვიტეთ, მისი ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელი შეგვეწყო, რომ ამ ორგანიზაციამ რეალურად შეძლოს შემდგომ, ჩვენი მხარდაჭერის გარეშე, ეფექტურად ფუნქციონირება. მათი ხმა განათლების სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანია. გამოვაცხადეთ საგრანტო კონკურსი განათლების სფეროში მომუშავე ასოციაციებისთვის, ზოგადად, ხელს ვუწყობთ საგნობრივ ასოციაციებს, მაგრამ ეს განსხვავებული შემთხვევაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ორგანიზაციების ინიციატივები წახალისებულ იქნეს. რაც შეეხება უშუალოდ ამ პროექტს, ძალიან მნიშვნელოვანი აქცენტები გამოიკვეთა, რეალურად ბევრი პრობლემა დავინახეთ, თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ძალიან ცოტაა მშობლებთან თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა, მაგრამ სადაც არის, იმას უნდა მოვეჭიდოთ.“*

სატელეფონო ცხელი ხაზიც სწორედ მშობლების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა და, საკონსულტაციო ხაზის ამოქმედების პირველივე თვეებში, მოსწავლეთა მშობლები აქტიურად დაინტერესდნენ სასკოლო გამოწვევებიდან გამოსავლის ძიებით, ისარგებლეს კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებით და მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, რისი უფლება-მოვალეობა ჰქონდათ კონკრეტულ სიტუაციაში და როგორ დაემყარებინათ სწორი კომუნიკაცია შვილის მასწავლებელთან თუ სკოლის დირექტორთან.

მაინც რა აწუხებთ მშობლებს და რა პრობლემები იკვეთება სკოლაში? ორგანიზაციის ხელმძღვანელი **მეგი კავთუაშვილი** ამბობს, რომ ცხელ ხაზზე შემოსულმა ზარებმა საშუალება მისცათ დაეჯგუფებინათ ის პრობლემები, რაც მოსწავლეებს სკოლაში ექმნებათ და რომელთა გამომწვევ მიზეზად, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლებში პროფესიული უნარების დეფიციტი სახელდება, ასევე, სკოლის დირექტორის მხრიდან სამსახურეობრივი ან მშობლის არასწორი სტრატეგია.

გამოწვევების ჩამონათვალი საკმაოდ მძიმე და მრავალრიცხოვანია, მოიცავს როგორც მოსწავლეთა უსაფრთხოების პრობლემებს, ასევე სწავლა-სწავლების დარღვეულ პროცესს:

❖ ჩაგვრის (ბულინგის) მრავალსახეობა და გამკლავების ეფექტიანი მექანიზმების უქონლობა სკოლებში;

❖ ზრდასრულთა მხრიდან ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები; მათ შორის, ბავშვთა მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა;

❖ ჭარბი საშინაო დავალებების უარყოფითი გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე;

❖ სკოლის თანამშრომელთა მხრიდან დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა შეფასებისას, რაც გამოხატულია შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანებითა და ქულების სადამსჯელო მიზნით გამოყენებით;

❖ ანტისანიტარია საკლასო ოთახებსა და საპირფარეშოებში, უსაფრთხოების ნორმების დარღვევა სველ წერტილებში. ჯანსაღ კვებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა სკოლებში;

❖ სკოლის თანამშრობლებსა და მშობლებს შორის არასწორი კომუნიკაციით გამოწვეული დაპირისპირებები – მშობლები და სკოლის თანამშრომლები ერთმანეთს ვერ აღიქვამენ პარტნიორებად. მშობლებმა არ იციან თავიანთი უფლებები და მოხალისეობრივი ჩართულობის შესაძლებლობები. სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ საწინააღმდეგო აზრის მიმღებლობა და არ განიხილავენ მშობელს, როგორც მოკავშირეს;

❖ შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების პრობლემები, რომელსაც ვერც სკოლა და ვერც მშობლები ვერ უმკლავდებიან;

❖ კორუფცია და უთანასწორობა საჯარო სკოლაში. მასწავლებლების ერთი ნაწილი თავისივე მოსწავლეებს, სასკოლო სივრცეში ან სახლის პირობებში, დამატებით, ფასიან გაკვეთილებს უტარებს. მშობლები ამბობენ, რომ ადგილი აქვს იძულების პირდაპირ და ირიბ გზებს, რომ მასთან მოამზადონ ბავშვი;

❖ მოძველებული მეთოდებით სწავლებისა და მოსწავლეებისთვის უინტერესო გაკვეთილების პრობლემა; დიფერენცირებული სწავლების და ინდივიდუალური მიდგომის დეფიციტი; სადამრიგებლო პროგრამის გამოწვევები;

❖ მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში და, საკლასო ოთახების სიმცირის გამო, სკოლის რამდენიმე ცვლაში მუშაობა;

❖ მშობლებს შორის ფულის უკანონოდ შეგროვების შემთხვევები, მათ შორის, საკლასო ოთახების გარემონტებისთვის, ფარდებისთვის და სკოლის თანამშრომელთა საჩუქრებისთვის.

მეგი კავთუაშვილი ამბობს, რომ საქართველოში სიახლეა მშობელთა დახმარების სატელეფონო მომსახურება, თუმცა, პირველივე თვეებში მაღალი მომართვიანობა ადასტურებს, რომ საჭირო და აქტუალურ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი: *„10 თვის განმავლობაში სატელეფონო კონსულტაციით 312-მა მშობელმა ისარგებლა. ამის გარდა, გააქტიურდა მშობლების მომართვიანობა სოციალური ქსელების მეშვეობით და პირისპირ მომართვიანობაც გაიზარდა ორგანიზაციაში. სულ, ამ პერიოდის განმავლობაში, რეკომენდაცია გავუნიეთ 400-ზე მეტ მშობელს, რომელსაც სკოლის ასაკის შვილი ჰყავს.*

*პროცესი რომ აღვწეროთ, ასეთია: მშობელი გვიკავშირდება ტელეფონის ნომერზე – **219 60 80,** გვიყვება კონკრეტულ სიტუაციას და მის წინაპირობებს, ოპერატორი იწერს ამ ისტორიას, გადასცემს ორგანიზაციის განათლების სპეციალისტებს, იურისტსა და ფსიქოლოგს და შეჯერებული პასუხით, კვალიფიციური რჩევით, უმოკლეს დროში, უკუკავშირს ამყარებს ზარის ავტორთან. ამ მეთოდმა აჩვენა, რომ **მშობლების „შეიარაღება“ საჭირო ცოდნით, ხშირ შემთხვევაში, საკმარისია, რომ ბავშვის პრობლემა სკოლაში მოგვარდეს.***

ცხადია, არის გართულებული შემთხვევებიც, განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომლებსაც ჯერ კიდევ ავტორიტარი დირექტორები მართავენ. ასეთ შემთხვევაში, ადგილზე ვსწავლობთ ბავშვის მდგომარეობას და ვასრულებთ მედიატორის როლს სკოლასა და მშობელს შორის. როგორც წესი, ეს პროცესი მშვიდობიანად მიდის, ზედმეტი დაძაბულობისა და ხმაურის გარეშე.“

რაც შეეხება მშობლების თანამშრომლობას, იკვეთება, რომ სულ უფრო იზრდება იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც აცნობიერებენ როგორი უნდა იყოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამკვიდრებული სასკოლო გარემო, რომელშიც უნდა იზრდებოდნენ მათი შვილები. ასეთი მშობლები მზად არიან სკოლასთან თანამშრომლობისთვის, მათთვის მისაღებია კრიტიკული აზრი და სკოლის თანამშრომლებთან პირისპირ საუბრისას არც თავად მალავენ თავიანთ მოსაზრებებს. თუმცა, პარალელურად, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება მშობლების პასიურობა და პრობლემებზე ჩუმად საუბარი. *„ჩვენი ანგარიში ნათლად აჩვენებს, რამდენად მძიმეა ამ მხრივ მდგომარეობა. მშობელთა 20% თავს არიდებდა საუბრის გაგრძელებას, როგორც კი ავტომოპასუხე ატყობინებდა ინფორმაციას საუბრის ჩაწერის შესახებ,* – გვიყვება მეგი კავთუაშვილი, – *მათი ნაწილი ჩვენთან დაკავშირებას პირად ნომრებზე ცდილობდა, იმის გამო, რომ თავი აერიდებინათ აუდიოჩაწერისთვის. მშობელთა 10%-ს ანონიმურად სურდა დარჩენა, რადგან შიშობდნენ, თუ სკოლა შეიტყობდა მათი აქტივობის შესახებ, ბავშვს დაჩაგრავდნენ. ცხადია, ეს შიში საფუძვლიანია და არ არის რეალობას მოკლებული, რადგან ანგარიშში მოთხრობილი ისტორიების მოგვარების კვალდაკვალ, არაერთ ადამიანს გადავეყარეთ, რომელიც სკოლაში უბრალოდ არ უნდა მუშაობდეს, იმდენად განსხვავდება მისი შეხედულებები, სტერეოტიპები და ღირებულებები თანამედროვე მსოფლიოს აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისგან. სირთულეების მიუხედავად, ვცდილობთ, ვიყოთ მშობლების ზურგი, გავაძლიეროთ ისინი, რათა შეძლონ საკუთარი შვილების დაცვა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვებრძვით სასკოლო საზოგადოებას. პირიქით, ეს არის დახმარება. მომზადებული მშობელი ნამდვილი ჯილდოა როგორც მასწავლებლისთვის, ისე სკოლის დირექტორისთვის. მათ შორის არიან ადამიანები, ვინც თავად გვიწვევს სკოლაში ან გვიგზავნის მშობლებს, აძლევს ცხელი ხაზის ნომერს, რომ ჩვენგან მიიღონ კონსულტაცია“.*

კონსულტაციებს კი ორგანიზაცია მთელ რიგ საკითხებზე გასცემს: სკოლის, მასწავლებლისა და მშობლის უფლებები და ვალდებულებები; მშობლისა და სკოლის თანამშრომლობა; ბავშვზე ძალადობის საკითხები და მათი მოგვარების გზები; სასწავლო პროცესის შინაარსი, მეთოდები და ფორმები; მშობლის როლი სკოლის მართვის საკითხებში; გასაჩივრების შიდა და გარე მექანიზმები სკოლაში.

პროექტის ფარგლებში, მშობლებისთვის, საგანგებო ტრენინგ-მოდულები შეიქმნა და უკვე 500-ზე მეტი მშობელი გადამზადდა. პროცესი ახლაც გრძელდება და დაინტერესებულ მშობლებს ისევ ექნებათ შესაძლებლობა, გაიარონ ტრენინგები, დაესწრონ მასტერკლასებს და იყვნენ უფრო პოზიტიურები და აქტიურები თავიანთი შვილების კეთილდღეობისთვის.

ანგარიში რეკომენდაციებსაც მოიცავს განათლების სამინისტროსთვის, სკოლის დირექტორებისთვის, მასწავლებლებისთვის და კლასის დამრიგებლებისთვის, რომელიც მათ უახლოეს პერიოდში გადაეგზავნებათ. ამის გარდა, დაგეგმილია ჯგუფური დისკუსიები მშობლებთან, დაინტერესებულ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორებთან ერთად, რათა ანგარიშში ასახული აქტუალური პრობლემები კვლევის და განსჯის საგნად იქცეს. *„მშობლები განათლებისთვის“ მზადაა, ითანამშრომლოს ყველა უწყებასთან, რომელიც პასუხისმგებელია განათლების პოლიტიკაზე საქართველოში და წარმოადგენდეს მშობლების ხმას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.“* – ამბობს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და, პრობლემებზე ყურადღების გასამახვილებლად, გეგმავს ანგარიშის გაგზავნას განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მესვეურებსა და საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

ცხელ ხაზზე შემოსული ნამდვილი ამბებიდან

ამბავი №1. მასწავლებელი მოსწავლეებზე რეგულარულად ძალადობს

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-7 და მე-10 კლასელი მოსწავლეების მშობელი). ბიოლოგიის მასწავლებელი ბავშვებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. უხეშია, არ აქვს მოსწავლეებთან გამონახული საერთო ენა და გაკვეთილის განმავლობაში ხშირად იყენებს სიძულვილის ენას. ბავშვები არ სწავლობენ მის საგანს. მაგალითისთვის, მშობელი იხსენებს, რომ მასწავლებელმა 13 წლის გოგონას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სხვაგან შეიკარი ეგ შენი ძუნძგლიანი თმა“. იგივე მასწავლებელი ზარის ავტორის მეორე შვილს, მეათეკლასელ ბიჭსაც ასწავლის და ხშირად აგდებს გაკვეთილიდან. მშობლის თქმით, ამის შესახებ საქმის კურსში არ არიან მანდატური, ადმინისტრაცია და დამრიგებელი. გარდა ამისა, მასწავლებელი შემაჯამებელ სამუშაოზე წინასწარ აკეთებს შეფასებას. კერძოდ, მოსწავლეებს მერხზე სუფთა ფურცელს უდებს, რომელზეც განმსაზღვრელი შეფასება/ქულა წინასწარ წერია. ბავშვები მშობლებთან ამ ინფორმაციას ადასტურებენ, თუმცა ხმამაღლა თქმის ეშინიათ. საქმეს ისიც ართულებს, რომ აღნიშნულ ფაქტებზე დირექცია არ რეაგირებს. მშობელი განმარტავს, რომ დირექტორის იმედი რომ ჰქონდეთ, მოსწავლეებს გაუადვილდებოდათ სიმართლის თქმა.

ამბავი №2. „ურჩი“ მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-9 კლასელის მშობელი). მე-9 კლასის მოსწავლე მათემატიკის მასწავლებელმა კლასიდან იმის გამო გააძევა, რომ ის იცინოდა გაკვეთილზე. მესამე დღეა იძახის, რომ ამ ბავშვის ნერვები არ აქვს და მოსწავლეს გაკვეთილზე არ უშვებს. მშობელს ურეკავს დამრიგებელი, არ უხსნის საქმის ვითარებას დეტალურად და სასწრაფოდ იბარებს დირექტორთან. მშობლები მიდიან სკოლაში. კაბინეტში ხვდებათ დამრიგებელი და დირექტორი, რომელიც ითხოვს ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრება გარიცხვით.

მშობლები განათლებისთვის
PARENTS FOR EDUCATION

ამბავი №3. მოსწავლის გარიყვა

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-3 კლასელის ბებია). ბებიის მონათხრობის მიხედვით, მისი მესამეკლასელი შვილთაშვილი გოგონა მუდმივად განიცდიდა ჩაგვრას მასწავლებლის, კლასელებისა და მათი მშობლების მხრიდან. ჩაგვრის საფუძველი ის ფაქტი გახდა, რომ მშობლებისგან მიტოვებულ გოგონას ბებიას კონფლიქტი მოუვიდა ერთ-ერთ მშობელთან. ბებიის ცნობით, გოგონას თანაკლასელების მშობლები და მასწავლებლები მშობელთა კრებაზე საჯაროდ, ხოლო ზურგს უკან – ოჯახებში, შვილების გასაგონად, განიხილავენ მის მდგომარეობას. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ცუდ ოჯახში აღზრდილი გოგონა თავადაც გზას აცდენილი გაიზრდება. მშობლების დამოკიდებულება მოქმედებს ბავშვებზე და გოგონას მუდმივ რეჟიმში უხდება თავის დაცვა, როგორც თანაკლასელებისგან, ისე მათი უფროსი დაძმებისგან, მშობლებისგან და მასწავლებლისგანაც კი.

სამოდელო გაკვეთილი

ეკოლოგიური პრობლემის ზოგადი მიმოხილვა

მასწავლებლის სახელი, გვარი: კესო გოგოლაძე
საგანი: გეოგრაფია
სწავლების საფეხური/კლასი: საშუალო/მეთერთმეტე
მოსწავლეთა რაოდენობა: 18
გაკვეთილის თემა: ეკოლოგიური პრობლემა – ზოგადი მიმოხილვა
გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული
გაკვეთილის მოკლევადიანი მიზანი:
მოსწავლეები:
• გაეცნობიან გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებულ ბუნებრივი და ანთროპოგენული ხასიათის პრობლემებს;
• იმსჯელებენ და გააანალიზებენ რა არის გეოგრაფიულ გარემოში პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები.
• დასახავენ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს. გააკეთებენ ადეკვატურ დასკვნას.

გაკვეთილის გრძელვადიანი მიზანი:
• მოსწავლეები შეძლებენ პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების (პრობლემის შედეგების ანალიზი, მიზეზების კვლევა, ინფორმაციის აღრიცხვა, მსჯელობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახელება) გამოყენებას სხვა ნებისმიერი პრობლემური სიტუაციების დროს.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	მასწავლებელი ჯერ მოაგვარებს საორგანიზაციო საკითხებს, მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, ჯგუფური მუშაობის წესებს და შეფასების რუბრიკებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კედელზეა გამოკრული, გასასვლელი ბილეთი და თვითშეფასების რუბრიკები მოსწავლეებს ჯგუფებში დაურიგდებათ.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი	სქემები	2წთ
2	**აქტივობის მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს განვლილ მასალას, რომელიც შეეხება გეოგრაფიულ გარსს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს, ეკოლოგიას, გარემოს დაცვას. **შეფასება:** განმავითარებელი, კომენტარი.	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი		5წთ
3	**აქტივობის მიზანი:** ასახსნელი თემისადმი ინტერესის აღძვრა. **აქტივობის აღწერა:** პრობლემისა და თემის სიმწვავის უკეთესად წარმოსაჩენად, მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეორგოლს, რომელიც შეეხება ბუნების დაბინძურებას და სთხოვს მათ, მიაქციონ ყურადღება გარემოს დამაბინძურებლებს.	ვიდეოს ჩვენება	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი	5წთ
4	**აქტივობის მიზანი:** მსჯელობის, ანალიზის, თანამშრომლობის, პრეზენტაციის უნარების გამომუშავება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი, ახალ გაკვეთილთან დაკავშირებით, ჯგუფებს მისცემს სამუშაოს (სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა გეოკომპონენტის პრობლემებზე იმუშავებს). მოსწავლეები ჯგუფებში გამოიყენებენ როგორც სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას, ასევე – მათ მიერ წინასწარ მოძიებულს, იმსჯელებენ გეოგრაფიული კომპონენტების დაბინძურებაზე, გააანალიზებენ გარემოს დაბინძურებისგან გამოწვეულ შედეგებს. პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს T სქემის საშუალებით გამოსახავენ. **შეფასება:** განმსაზღვრელი.	ტექსტზე მუშაობა პრეზენტაცია	ჯგუფური	სახელმძღვანელო, რვეული, ბავშვების მიერ მოძიებული თეორიული მასალა, მარკერი, ფორმატი	18წთ
5	**აქტივობის მიზანი:** ახალი მასალის განმტკიცება. **აქტივობის აღწერა:** გაკვეთილის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი, ახალი მასალიდან, დასვამს კითხვებს, ასევე კითხვების საშუალებით დაუკავშირებს ახალ მასალას საქართველოს ეკოლოგიურ პრობლემებს. **შეფასება:** განმავითარებელი, კომენტარი.	კითხვა-პასუხი (დისკუსია)	მთელი კლასი		10წთ
6	მასწავლებელი გააკეთებს განმსაზღვრელ ჯგუფურ შეფასებას – მოსწავლეთა ჯგუფებს წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკის საშუალებით შეაფასებს; მოსწავლეები შეავსებენ ჯგუფისთვის განკუთვნილ თვითშეფასების კითხვებს და თითოეული, ინდივიდუალურად, გასასვლელ ბილეთებს.	ვერბალური მეთოდი	ჯგუფური, ინდივიდუალური	ჯგუფური შეფასების რუბრიკა, თვითშეფასების რუბრიკა, გასასვლელი ბილეთი	4წთ
7	**აქტივობის მიზანი**: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება შესასწავლი თემის ირგვლივ; ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების უნარის გამომუშავება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას – მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში გარემოსდაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი	ინტერნეტი	1წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

გეო.XI.3. მოსწავლეს შეუძლია ბუნებრივი და ანთროპოგენული ხასიათის გლობალურ პრობლემებზე მსჯელობა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• აანალიზებს ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ გარემოსდაცვით გლობალურ პრობლემებს ისტორიული წარსულიდან დღემდე; გამოთქვამს ვარაუდს მათი შესაძლო განვითარების შესახებ;
• სხვადასხვა გეოგრაფიული საშუალებების გამოყენებით აანალიზებს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, მათ შორის მსოფლიო ოკეანეს, პედოსფეროსა და ბიოსფეროს ათვისების ძირითად მიმართულებებს;
• ჯგუფური მუშაობისას ირჩევს რომელიმე გლობალურ გეოეკოლოგიურ პრობლემას, გამოყოფს მისი მოგვარების რამდენიმე მნიშვნელოვან გზას და ქმნის პრობლემის განვითარების სცენარებს; შედეგებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (გრაფიკი, დიაგრამა და სხვა).

გეო. XI 6. მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს გლობალური პრობლემების გადაჭრაში ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე შემუშავებული კოორდინირებული პოლიტიკის აუცილებლობა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• მსჯელობს მოსახლეობის (ოჯახის, თემის, ქვეყნის, რეგიონის და მსოფლიოს) ცხოვრების წესის, გარემოსდაცვითი ცნობიერების, განათლებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე; გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მდგრადი განვითარებისათვის მათი მნიშვნელობის შესახებ.

გაკვეთილის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	3-4 ქულა	5-6-ქულა	7-8-ქულა	9-10-ქულა
ეკოლოგიური პრობლემის მიზეზების განსაზღვრა	ძალიან უჭირთ პრობლემის მიზეზის განსაზღვრა.	უჭირთ პრობლემის მიზეზის განსაზღვრა.	ნაწილობრივ განსაზღვრავენ პრობლემის მიზეზს.	პრობლემის მიზეზი სიღრმისეულადაა წარმოდგენილი.
ეკოლოგიური პრობლემის შედეგების ანალიზი	ძალიან უჭირთ ანალიზის გაკეთება.	უჭირთ ანალიზის გაკეთება.	ნაწილობრივ აკეთებენ ანალიზს.	პრობლემის ანალიზი სრულყოფილია.
პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება	ძალიან უჭირთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.	უჭირთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.	ნაწილობრივ შეუძლიათ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.	დამაჯერებლად შეუძლიათ პრობლემის გადაჭრის გამართლებული ალტერნატიული ვარიანტის გადმოცემა.

ჯგუფის თვითშეფასების რუბრიკა

შეკითხვა	პასუხი
მიაღწიეთ თუ არა მასწავლებლის მიერ დასახულ მიზანს?	
რა იყო თქვენი გუნდის ყველაზე დიდი მიღწევა?	
რა იყო თქვენი ერთობლივი მუშაობის ხარვეზი და ნაკლი?	

გასასვლელი ბილეთი

დაასრულეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები:

დღევანდელი გაკვეთილიდან

1. ყველაზე მეტად დამაინტერესა .....
.....
.....
.....
.....

2. ჩემთვის ბუნდოვანი დარჩა .....
.....
.....
.....
.....

3. ჩემთვის საინტერესო იქნება შემდეგ საკითხზე მეტი ინფორმაციის გაგება .....
.....
.....
.....
.....

კესო გოგოლაძე
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის გეოგრაფიის წამყვანი პედაგოგი

სამოდელო გაკვეთილი

გასვლითი გაკვეთილი მუზეუმში

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები მიზნობრიობით ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ გაკვეთილებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც პედაგოგიური თვალსაზრისით ინოვაციურია, კოლეგებისთვის კი – სასარგებლო. დღევანდელ სტატიაში მინდა, კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება და შევთავაზო ჩემ მიერ ჩატარებული სამოდელო გაკვეთილი, რომელიც თავისი შინაარსით, მიზნით და აქტივობებით ინოვაციურია.

სამოდელო გაკვეთილი ისტორიაში XI კლასში ჩავატარე. გაკვეთილის დაგეგმვისას გადავწყვიტე გამომეყენებინა მუზეუმი. მუზეუმში ჩატარებული გასვლითი გაკვეთილი შეუზღუდავია, სახალისო და სტიმულის მიმცემი შემდგომი სწავლებისთვის. მუზეუმში დაცული მრავალფეროვანი ექსპონატებით ხდება მოსწავლეებში ინტერესთა გაღვიძება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი და გვარი: ნინო კომლაძე
საგანი: ისტორია
სწავლების საფეხური/კლასი: საშუალო, XI კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 32
გაკვეთილის თემა: საზღვაო, სამოქალაქო ცივილიზაციები. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და მისი შედეგები.
გაკვეთილის ტიპი: ინოვაციური გაკვეთილი – მუზეუმის გამოყენება ისტორიის გაკვეთილზე.
გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეები გაეცნობიან დიდ ბერძნულ კოლონიზაციას, მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. შეაფასებენ მათ მნიშვნელობას, პარალელს გაავლებენ იმავე ეპოქის საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან;
- ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და დახარისხების ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- გამოიყენებენ ტექნოლოგიებს ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაერთიანებლად, მოამზადებენ პრეზენტაციას აუდიტორიისთვის.

კავშირი ე.ს.გ-სთან. ისტ. XI 5. მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა.
შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:

- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფოს და ჯგუფებს რომელიმე ეპოქაში, მისი გაერთიანების ან დაშლის განმაპირობებელ საშინაო და საგარეო ფაქტორებს;
- ირჩევს ერთ-ერთ ეპოქას და ადარებს სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესებს საქართველოს მიმართ;
- ირჩევს რომელიმე კონკრეტულ ეპოქას, გამოყოფს იმ პერიოდის სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ადგილსა და როლს ამ კონკრეტულ ეპოქასთან მიმართებით.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: ისტ-ის გამოყენებით მოსწავლეები წარმოადგენენ პრეზენტაციას. დაიცავენ დროის ლიმიტს, იმსჯელებენ და შეაფასებენ ბერძნულ კოლონიზაციასა და მის შედეგებს, პარალელს გაავლებენ საქართველოში იმ დროისათვის არსებულ ქალაქური ტიპის დასახლებებთან.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსი	დრო (წთ)
1	**I ფაზა – გამოწვევა** მისალმებისა და მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის შემდეგ, ვაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს და შეფასების რუბრიკას.	კომუნიკაცია	მთელი კლასი	მასწავლებლის მიერ ფორმატზე დაწერილი და დაფაზე გამოკრული გაკვეთილის მიზნები	2წთ
2	წინარე ცოდნის გააქტიურებისა და მოსწავლეთა მზაობის შემოწმების მიზნით ვსვამ კითხვებს საბერძნეთის შესახებ, პარალელურად, ეს კითხვები სლაიდების სახით გადის ეკრანზე.	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	2წთ
3	**II ფაზა – წინასწარ შერჩეული ჯგუფების პრეზენტაციები** მოსწავლეები, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დავყავი 5 ჯგუფად, თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას წინასწარ არჩეულ თემაზე: I ჯგუფის პრეზენტაცია თემაზე: „„საბერძნეთის მდებარეობა და მოსახლეობა“.	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	5წთ
4	მასწავლებლის მინი-ლექცია – პრეზენტაცია სლაიდების დახმარებით, თემაზე „ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები“.	მასწავლებლის მინი-ლექცია	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	5წთ
5	მე-2 ჯგუფის პრეზენტაცია თემაზე: „ბერძნული ახალშენები საქართველოში“	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	5წთ
6	მე-3 ჯგუფის პრეზენტაცია თემაზე: „ვანი – ანტიკური ნაქალაქარი“	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	5წთ
7	მე-4 ჯგუფის პრეზენტაცია თემაზე: „საირხე ანტიკური ქალაქი“	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	5წთ
8	საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლის მინი-ლექცია საირხეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ის მოსწავლეებს აჩვენებს საირხეში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს, უყვება არქეოლოგიური გათხრებისა და მისი ხელმძღვანელის, არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის შესახებ. მოსწავლეები ინტერესით ეცნობიან საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ, ანტიკურ ქალაქ საირხეში აღმოჩენილ უნიკალურ ნივთებს.	მუზეუმის თანამშრომლის მინი-ლექცია	მთელი კლასი		5წთ
9	მე-5 ჯგუფის პრეზენტაცია თემაზე: „ძველი კოლხეთი და სასპერები“	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ეკრანი	4წთ
10/1	**III ფაზა** – მასწავლებელი აჯამებს მიწოდებულ ინფორმაციას, მოსწავლეების პრეზენტაციებს, მუზეუმის თანამშრომლის მიერ წაკითხულ მინი-ლექციას და აკეთებს დასკვნას ბერძნული კოლონიზაციის შედეგებსა და იმდროისათვის საქართველოში არსებულ ქალაქური ტიპის დასახლებებზე.	მასწავლებლის მინი-ლექცია	მთელი კლასი		2წთ
10/2	მოსწავლეები აფასებენ თავიანთ ნამუშევრებს და სხვა ჯგუფების პრეზენტაციებს.	შეფასება	მთელი კლასი		2წთ
11	**მოსწავლეთა შეფასება** მოსწავლეებს ვაფასებ გაკვეთილზე ჩართულობით და პრეზენტაციით.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი	მთელი კლასი		2წთ
12	**საშინაო დავალება**. მოსწავლეებს ექნებათ არჩევის საშუალება დავალების შესრულების დროს	ლექციური	მთელი კლასი	მოსწავლის წიგნი	1წთ

შეფასება: გაკვეთილზე ჩართულობა, პრეზენტაცია. მოსწავლეები შეფასდებიან მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილი გაკვეთილზე ჩართულობისა და პრეზენტაციის რუბრიკით (გაკვეთილზე ჩართულობისა და პრეზენტაციის რუბრიკები თან ერთვის).

მუზეუმში ჩატარებული გასვლითი გაკვეთილის ინოვაციურობა სწავლისადმი, ერთდროულად, კომპლექსურ, ინტეგრირებულ-ინტერაქტიულ მიდგომაშია. ეს მეთოდი ხელს უწყობს სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცებას, ახალი ინფორმაციის ათვისებას, მხედველობითი მეხსიერების ფორმირებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებას.

არაფორმალურ გარემოში გაკვეთილის ჩატარება ახალისებს სასწავლო პროცესს და მრავალფეროვანს ხდის მას. მოსწავლეები მინი-ლექციით მიღებულ ცოდნას და მუზეუმში ნანახ ექსპონატებს ერთმანეთს უკავშირებენ და, ინტერაქტიული მსჯელობის საფუძველზე, მუზეუმის თანამშრომელს უსვამენ კითხვებს.

მუზეუმში ჩატარებული გასვლითი გაკვეთილების დროს მიღებული შთაბეჭდილებები და მუზეუმის ფონდში დაცული ექსპონატების, ფოტომასალების გამოყენება სწავლების შემდგომ ეტაპზე, იწვევს არა მარტო სწავლების მოტივაციის ხელშეწყობას, არამედ სწავლების ხარისხის ზრდასაც.

გაკვეთილზე ჩართულობის რუბრიკა

შედეგები	1-4	5-6	7-8	9-10
აქტიური მონაწილეობა	არ არის ჩართული.	პერიოდულად ერთვება, მაგრამ არანაყოფიერად.	აქტიურია, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი ვერ შეაქვს.	აქტიურია, კონსტრუქციული და შეაქვს დიდი წვრილი.
აზრის დამოუკიდებლად გამოთქმა	ვერ გამოთქვამს საკუთარ აზრს.	იშვიათად გამოთქვამს საკუთარ აზრს.	გამოთქვამს საკუთარ აზრებს, მაგრამ ზოგჯერ დამაჯერებლობა აკლია.	საკუთარ აზრს აყალიბებს დამაჯერებლად, მსჯელობს არგუმენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში, სვამს გააზრებულ შეკითხვას.
სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა	არ უსმენს სხვის აზრს, აწყვეტინებს.	ყოველთვის არ უსმენს ან უსმენს, მაგრამ აქვს ადეკვატური რეაქციები.	უსმენს სხვის აზრს და ცდილობს იყოს კორექტული.	ყურადღებით ისმენს სხვის აზრს, აანალიზებს და აკეთებს კორექტულ კომენტარს.
კონცენტრირება სამუშაოზე	ვერ ახერხებს კონცენტრირებას, არ იცავს ინსტრუქციას.	ცდილობს კონცენტრირებას, ხშირად ეფანტება გონება, უჭირს ინსტრუქციის დაცვა.	ძირითადად, კონცენტრირებულია სამუშაოზე. უჭირს ინსტრუქციის დაცვა.	მთელი გაკვეთილის განმავლობაში კონცენტრირებულია სამუშაოზე. ზუსტად იცავს ინსტრუქციას.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
დავალებასთან შესაბამისობა	შესრულებული დავალება არ შეესაბამება მიცემულ საკითხებს.	შესრულებული დავალების ნაწილი შეესაბამება მიცემულ დავალებებს.	მიცემული დავალების ნახევარზე მეტი საკითხს შეესაბამება.	დავალება სრულად შეესაბამება მოცემულ საკითხებს.
წარმოჩენის უნარი	ვერ წარმოადგენს პრეზენტაციას, დამსწრე საზოგადოებისთვის მისი საუბარი გაუგებარია.	აქვს პრეზენტაციის უნარი, თუმცა მისი საუბარი ბოლომდე არ არის გასაგები აუდიტორიისთვის.	აქვს პრეზენტაციის უნარი, საუბრობს გასაგებად, თუმცა ბოლომდე ვერ იხსნება აუდიტორიის წინაშე.	აქვს პრეზენტაციის უნარი, საუბრობს გასაგებად და მთლიანად ჩართულია აუდიტორიასთან კონტაქტში.
დროის ლიმიტის დაცვა	არ იცავს დროის ლიმიტს, აჭარბებს.	ნაწილობრივ ცდილობს, დაიცვას დროის ლიმიტი.	ცდილობს, დაიცვას დროის ლიმიტი.	იცავს დროის ლიმიტს და არ აჭარბებს.

ნინო კომლაძე
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიის პედაგოგი

საუბრები ლიტერატურაზე

„მართლა და, ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?“

ილია ჭავჭავაძე



„ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს.“

საქართველოს ისტორიაში 1837 წელი მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. სამყაროს ილია ჭავჭავაძე მოევლინა... ლამაზი, ფუმფულა, მეოცნებე ილიკო, რომელსაც ბავშვობაში თავი მუდამ დედის კალთაში ედო და ისე ისმენდა ზღაპრებსა და ქართველთა გმირობის ამსახველ ისტორიებს. დედით ადრე დაობლებულ ილია ჭავჭავაძეს მამიდა ზრდიდა და შეძლებისდაგვარად არ აკლებდა სითბოსა და სიყვარულს. ბევრჯერ მიფიქრია ყვარლის მთებზე შეყვარებული ბიჭის პირველ სიყვარულზე, მის ოცნებებზე, ბავშვურ ონავრობაზე. ნეტავ, რისი თამაში უყვარდა ბავშვობისას ყველაზე მეტად ილიას? იქნებ, ომობანას თამაშობდა, ან იქნებ, ვიღაც გოგოს სიყვარულით თავგზააბნეული მინდორში ყვავილების საკრეფადაც დადიოდა?!

ილია მანსვეტაშვილი „მოგონებებში“ განსაკუთრებულ ყურადღებას ილიას სახის მშვენიერებაზე ამახვილებს: *„ილია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული... ამ ტანზე, რომელსაც ვერ დავწამებთ სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიასის. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორი, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები“*... უამრავ ქართველთაგან მხოლოდ ილიას თვალებმა შეამჩნია ის, რაც გვჭირდა და გვტკიოდა. მისმა გულმა და გონებამ ათასობით ქართველის გასაკეთებელი საქმე დაიტია და მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთხელაც არ მიუცია თავისთვის უფლება განზე გადგომისა, „გარეგანი ფრინველის“ როლსა და პოზაში ყოფნისა. ილია ერთდროულად ფიქრობდა ქვეყანაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე, პუბლიცისტიკაზე, გაზეთის საქმეებზე, ბანკზე, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, მომრიგებელ მოსამართლეობაზე, მინის ნაკვეთის სიდიდისა და მასზე გადასახადის მოცულობის განსაზღვრაზე, სავარგული მიწის ნაკვეთების განსაზღვრა-გამოყოფაზე, გლეხებსა და მემამულეთა შორის წარმოშობილი დავების განხილვაზე, მიწის ნაკვეთის ყიდვისა თუ ვალდებულებითი დამოკიდებულების შეწყვეტის თაობაზე და ა.შ.

1857 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა და წარმატებით ჩააბარა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, რომელიც იძლეოდა ეკონომიკურ-ფინანსური და ადმინისტრაციული დარგების ცოდნას. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომვერაღებული ილია მოძრაობას და მხოლოდ მოძრაობას მიიჩნევდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ქმედებად. მას კი რა დახვდა საქართველოში?! იდენტობადარღვეული ქართველობა, გაუნათლებლობა და ტკბობასა და შეგუებას შორის არსებული ხალხის მდგომარეობა. ილიას სულის ტკივილი – შელახული, გალანძღული, დამდაბლებული, იმდროინდელი არისტოკრატების სახლიდან განდევნილ-გარიყული ქართული ენა იყო. საზოგადოება კი – პოლარიზებული, რომელსაც თავისი ნებით თუ არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ბაბილონის გოდოლი აღემართა. სოციალურ ფენებს შორის ვერშემდგარი კომუნიკაცია, გაუნათლებლობა და სხვის დაკრულ ფანდურზე როკვა არა მარტო იდენტობის დაკარგვის, არამედ მტრის ხახაში უბრძოლველად ჩავარდნისა და გადაგვარების საშიშროებასაც უქადდა ერს. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ ქართველობას ერთმანეთი დაავიწყა, სამშობლოს ცნება გაუუფერულა და მთელი ერი რუსულ დანჯღრეულ „ პოვოსკაში“ ნებსით თუ უნებლიედ ჩასხა.

აქეთა ნაპირზე თავად-აზნაურები ყელმოღერებით იმზირებოდნენ, ხოლო გაუნათლებელი, დაჩაგრული, იმედდაკარგული და შეურაცხყოფილი ერის ნაწილი კულისებიდანღა იჭვრიტებოდა. ილიამ ცოდნა და განათლება ერის გადარჩენის წყაროდ გამოაცხადა. სწორედ ცოდნაში ხედავდა იგი სოციალურ ფენათა შორის გათანაბრების შესაძლებლობას. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე ილიამ ცოდნა ანთებულ სანთელს შეადარა. *„ცოდნა კიდევ იმითაა კარგი, რომ იმან უფროსუმცროსობა არ იცის, როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, – ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მოვიდეს ცოდნის კარამდისა“.*

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ საჯაროდ დიდი მეცენატის, დავით სარაჯიშვილის, სახლში წაიკითხა. შეფასება არაერთგვაროვანი იყო. არ მოუწონეს, მეტიც, დაუწუნეს, ეს რა დაგიწერიაო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამ უსამართლო კრიტიკას როგორ მიიღებდა. ილია მანსვეტაშვილის მოგონების მიხედვით, *„ზოგმა დაუწუნა ილიას გიორგის სიკვდილი, არაბუნებრივი, შემთხვევითიაო; თვით მოთხრობის მსვლელობისგან არ გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი ამ მოვლენათა გადახლართ-გადმოხლართვის, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის“.* ასეა თუ ისე, ილიას საყვარელი გიორგი გარდაიცვლება. ახლა იმის მტკიცება ზედმეტია, რომ ილიას „ლიტერატურული მკვლელობა“ ან საყვარელი პერსონაჟის უსიყვარულობა დავაბრალოთ. თუკი „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟებს ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა გალერეის ფონზე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აქ, გლეხებიც და თავადებიც, თავიანთი განვითარების უმაღლეს ნიშნულს მიახლოებიან. არჩილი და კესო თავიანთი სოციალური ფენის წარმომადგენლებთან შედარებით მოწინავე და ჰუმანური იდეების მქონენი არიან (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც). ისინი რადიკალურად განსხვავდებიან „გლახის ნაამბობის“ დათიკოსაგან და „კაცია-ადამიანის?!“ ლუარსაბ-დარეჯანისგან (სხვა თავადებთან ერთად). გიორგი და დედამისი არა მარტო თავიანთი მყარი და მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურით გამოირჩევიან, არამედ მათი ეზო-კარიც მოსუფთავებულ-ნაპატრონებია. ყველაფერს სისუფთავის სუნი დაჰკრავს.

ამ მოთხრობაში ავტორის ცდა აშკარაა – ორი სოციალურად განსხვავებული პოლუსი (თავადები და გლეხები), იდეალური იერსახით, ქაღალდზე შეხმატკბილებულ მხარეებად გამოეხატა, თუმცა... იმდროინდელი საქართველოს რეალობა სულ სხვაა... იქნებ ეს მხოლოდ ილიას სურვილი იყო, ლიტერატურული ექსპერიმენტის სახით გაცხადებული?! როცა გიორგის სიყვარულის ისტორიას ეხები, ბრაზობ, ოღონდ არ იცი, ვისზე ან რაზე – გიორგიზე, კესოზე თუ არსებულ მდგომარეობაზე. შეუძლებელია, კესოს არ ეგრძნო ახალგაზრდა ბიჭის მისდამი დამოკიდებულება. რისთვის მივიდოდა გიორგი მათ სასახლეში, თანაც უჯამაგიროდ? ნუთუ ამას ვერ მიხვდა კესო? ვფიქრობ, არც კესო იყო იმგვარი მიამიტი და არც არჩილი, ეჭვი მაინც არ გასჩენოდათ გიორგის გადაწყვეტილების გამო. კესო თითქოს ვერც ამჩნევს დაბნეულ-გაშტერებულ გიორგის. ყვავილების ბაღიც ხომ სიყვარულის ნიშნად გაუკეთა და მისი ყველა სხვა ქმედებაც ხომ კესოთი იყო განპირობებული. მაგრამ გიორგის სიყვარული კესოს ხელს არ აძლევდა და ამიტომაც (ვითომ) „ვერც ხვდებოდა“ დედისერთა ბიჭის თავგზააბნეულობის მიზეზს. ვფიქრობ, ილიას აზრით, სოციალური უთანასწორობა იმდენად არ იყო ბარიერი, რამდენადაც გიორგისა და კესოს შორის განსხვავება განათლების კუთხით. *„განათლება ქმნის განსხვავებას ადამიანთა შორის“* (ჯონ ლოკი). მართალია, გიორგი წარმოსადეგი, კეთილი, ბუნებრივად ჭკვიანი და გამჭრიახი გონების პატრონი იყო, მაგრამ მას არ ჰქონდა ის, რაც კესოსთან გაათანაბრებდა. საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანება და გამთლიანება სწავლით, ცოდნით, ერთი მიმართულებით სვლითა და გულწრფელი სიყვარულით მიიღწევა. *„განათლება დიდებული საშუალებაა პიროვნების განვითარებისთვის. სწორედ განათლების წყალობით შეიძლება გახდეს გლეხის შვილი ექიმი, მეშახტის შვილი – შახტის დირექტორი, ფერმერის შვილი – ქვეყნის პრეზიდენტი“* (ნელსონ მანდელა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას თავისი საყვარელი პერსონაჟის, გიორგის, მოკვლისთვის საყვედურობდნენ. გიორგი მოთხრობაში ტრაგიკულად კვდება. მას მოხუცი პეტრე გადახრილი თივის ზვინის გასნორებას სთხოვს. ყველასათვის თავდადებული გიორგი კეთილ ბერიკაცს თხოვნას უსრულებს და... თივიდან გადმოვარდნილი სამგლოვიარი ძაძას ჩააცვამს დედას, მწარედ დააფიქრებს არჩილსა და კესოს. და მაინც, გიორგის სიკვდილში ბრალი მოხუც პეტრეს მიუძღვის, ამიტომაა ის ასე უსასოოდ რომ მოთქვამს: *„რა შეგცოდე, ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბი“* (ჭავჭავაძე, 1988: 291)? იმავე კითხვას (ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით) სვამს ილია ჭავჭავაძის სხვა პერსონაჟი პეტრე, მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“. მოკლული ბიჭის უმცროსი ძმა საგანგებოდ მას (და მხოლოდ მას) სწერს წერილს, რომელშიც თავიანთი გამრუდებული ცხოვრების მიზეზად საზოგადოების გულგრილობას ასახელებს. პეტრეც დამნაშავეთა სიაშია. ის ხომ არაფერს აკეთებს ჩამოსახრჩობად გაყვანილი ბიჭის წინ სასეიროდ შეკრებილი ხალხის გამოსაფხიზლებლად? კეთილი და გულუბრყვილო პეტრე ფიქრობს, ჩემი გამასხარავება უნდათ, სოფლელი კაცი ვარ და ჰგონიათ, მატყუებენო. მის თვალწინ ახალგაზრდა ბიჭს სიცოცხლეს გამოასალმებენ და ის ვერც კი გარკვეულა ტყუილ-მართალში. არაპირდაპირ მასაც მიუძღვის მიუსაფარი ბიჭების ტრაგედიაში ბრალი. იქნებ ძალაუფლების არქონისა თუ სხვისთვის თავის გაწირვის შეუძლებლობის გამოა პეტრე უმოქმედოდ და მიზეზად ვერმიხვედრას იფარებს ფარად? ამგვარი გულუბრყვილობა არ გამოადგება ქვეყანას. ილიას აზრით, უფუნქციო სიკეთე არაფრის მომცემია. თავისი სიმყიფის გამო ადვილად იმსხვრევა და მოყვასის გადამრჩენელად ვერ გამოდგება.

შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის ამ ორ მოთხრობაში პეტრე გლეხკაცის განზოგადებული სახეა და *„კირქვასავით გამომშრალ ფიგურად ჩანს, რომელიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ცვლილებას“* (არგანაშვილი, 2017-2018: 152). ილია წინააღმდეგია გაუნათლებლობისა, რომელსაც ხშირად მოსდევს გაუაზრებელი, ერთი შეხედვით, მიამიტური, უმოქმედობა, უიმედობა და ნიჰილიზმი. ერის (განსაკუთრებით გლეხობის) უცოდინრობის ლაბირინთიდან გამოსაყვანად ამბობდა ილია: *„მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა... ღარიბნი რომ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის ბრალია“*. მოვუსმინოთ ერის მამას!

მაია მენთეშაშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. არგანაშვილი 2017-018: არგანაშვილი გ., ჟ. „კრიტიკა“, თბ., 201-2018, 12-13;
2. კვაჭანტირაძე 2013: *კვაჭანტირაძე მ., „ვექტორები“, წერილები, სტატიები, თბილისი, 2013;*
3. ჭავჭავაძე 1988: *ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ., 2. მოთხრობები, პოემები. თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1988.*

იაკობ გოგებაშვილი – 179

ტრადიციული კვირეული

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში არაფორმალური განათლება ეხმარება ფორმალურ განათლებას. ფაქტია ისიც, რომ საშუალო სკოლის მიზანი, ზოგადი ცოდნის მიღებასთან ერთად, მოსწავლის ჰარმონიული და შემოქმედებითი განვითარებაცაა. სწორედ ამიტომ, შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიაში“ პერიოდულად იმართება სხვადასხვა ფორმატის ღონისძიება, რომლებიც აღსაზრდელებს საკუთარი თავის რწმენის ჩამოყალიბებაში, წიგნიერების ამაღლებაში, მართლმეტყველებისა და სხვა უნარ-ჩვევების შეძენა-დახვეწაში ეხმარება.

21-25 ოქტომბერს სკოლა-გიმნაზიაში ტრადიციულად დაგეგმილი იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი კვირეულიც ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა. ხუთმა დღემ და საინტერესო პროგრამამ I-IV კლასების მოსწავლეები დიდი იაკობის სამყაროში ამოგზაურა. კვირეულის ფარგლებში მათ გაიგეს ახალი დეტალები მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების შესახებ, ლამაზად მოხატეს ქართული ანბანის 33-ვე ასო და ნამუშევრები საკლასო ოთახებში გამოფინეს.

პატარებმა გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები ლამაზად წერაში, მხატვრულ კითხვაში, სიმღერასა და ცეკვაში; მორგეს როლები და იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობების გმირები თეატრალიზირებულად წარმოადგინეს. ისინი თამამად წარდგნენ ტოლ-მეგობრების, მშობლების, პედაგოგებისა და სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე.

შედეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი დააკმაყოფილა. მოსწავლეებმა შეძლეს თავიანთი განწყობილების გადმოცემა და ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. გაზრდილი მოტივაცია კი ახალი ღონისძიებების დაგეგმვის წინაპირობა გახდა.

ქეთევან ჯაკობია
ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანია დაიწყო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხადაჭერით, ერთთვიანი კამპანია დაიწყო, რომლის მიზანია რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ინფორმირება იმ საგანმანათლებლო სერვისებზე, რასაც პროფესიული განათლების სისტემა საქართველოს მოსახლეობას სთავაზობს. პროექტი „სამხრეთ კავკასიის კერძო სექტორის განვითარებისა და ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (PSD TVET SC) პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება.

საინფორმაციო შეხვედრები 10 სხვადასხვა ქალაქში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიმართება, რომელსაც ვეტერანი მორაგბეები – **ლექსო გუგავა** და **ნოდარ ანდღულაძე** წარუძღვებიან.

კამპანიის ფარგლებში, პირველი შეხვედრა კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში „აისი“ გაიმართა და მასში, მორაგბეებთან ერთად, მონაწილეობდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, **გიორგი ვაშაკიძე** და სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორის განვითარების და ტექნიკური პროფესიული განათლების და ტრენინგის პროგრამის დირექტორის მოადგილე, **იოჰანეს შრტიტმატერი**.

„დღეს ოფიციალურად დავიწყეთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანია, რომლის ფარგლებშიც გვინდა კერძო სექტორი, მოქმედი თუ მომავალი სტუდენტები დავარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკას სჭირდება ბევრი ვეტერინარი, აგრონომი, მეღვინე, მშენებელი თუ სხვა პროფესიების წარმომადგენლები, ამ შესაძლებლობას კი, სწორედ პროფესიული განათლება სთავაზობს მსურველებს“ – განაცხადა გიორგი ვაშაკიძემ.

იოჰანეს სტრიტმატერის თქმით, მომავალი აქ იწყება! ქართველ ახალგაზრდებს შეუძლიათ არჩევანი სხვადასხვა თანამედროვე პროფესიებზე შეაჩერონ. ახალგაზრდები მათი პროფესიული ცხოვრებისთვის აუცილებელ ცოდნასა და კომპეტენციას სადიპლომო პროგრამების საშუალებით განივითარებენ, ხოლო ისინი, ვისაც დუალურ პროგრამაში მონაწილეობის ბედნიერება ხვდება წილად, არა მხოლოდ საჭირო უნარებს შეიძენენ, არამედ მომავალ დამსაქმებელსაც გაიცნობენ.

ორგანიზატორების განმარტებით, კამპანიის ფარგლებში, პოპულარულ სპორტსმენებთან შეხვედრა, საკუთარი წარმატებული ისტორიების გაზიარება და მათი მხრიდან, პროფესიებისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობის ხაზგასმა, დამატებითი სტიმული იქნება იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახლა გეგმავენ საკუთარ მომავალს.

სპორტი

ქაჯაია ევროპული თამაშების ჩემპიონია

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მძიმეწონოსანი **იაკობ ქაჯაია** მეორე ევროპული თამაშების ჩემპიონად გამოცხადდა. ამის შესახებ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უკვე ოფიციალურად აცნობა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) გენერალურმა მდივანმა, **რაფაელ პანაციომ**.

ქაჯაიამ, ივნისში, მინსკში გამართულ მეორე ევროპულ თამაშებზე ფინალური პაექრობა დათმო მასპინძელ **კირილ ჰრიშანკასთან** და მას ვერცხლის მედალი გადაეცა. მისი ახლანდელი აღზევების მიზეზი კი, თურმე, დოპინგზე ბელარუსის ჩავარდნაა. შედეგად **კირილ ჰრიშანკას** ჩამოერთვა ოქროს მედალი, რომელიც ქაჯაიას გადაეცა. ვერცხლის მედალი რუს მსოფლიო ჩემპიონ **სერგეი სემენოვს** ერგო, ბრინჯაოს მფლობელად კი უკრაინელი **მიკოლა კუჩმი** გამოცხადდა.

ამდენად, მეორე ევროპულ თამაშებზე საქართველოს მონაგარი კვლავაც 30 მედალი დარჩა, თუმცა შეიცვალა ხარისხობრივი მაჩვენებელი და დაგვემატა ერთი ოქრო: ახლა ჩვენს ანგარიშზე 7 ოქრო, 9 ვერცხლი და 14 ბრინჯაოა.

ცხადია, ამან გავლენა საერთო გუნდურ ჩათვლაზეც იქონია და საქართველომ თავისი ისედაც ისტორიული შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესა – მეშვიდედან მეექვსე ადგილამდე აიწია. თან გადაუსწრო ევროპის კიდევ ერთ ზესახელმწიფოს – გერმანიას, რომელსაც ასევე 7 ოქრო აქვს, მაგრამ ჩვენზე ნაკლები – 6 ვერცხლი და სწორედ ამიტომ გავიცვალეთ მეექვსე ადგილი (ისე კი მათ ბრინჯაოთიც ვუსწრებთ – 13 აქვთ).

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებულები

31 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2019“-ის შემაჯამებელი ღონისძიება და გამარჯვებული სკოლების დაჯილდოება გაიმართა.

ღონისძიებას ამ ოლიმპიადის ორგანიზატორი – საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კოტე ამირეჯიბი** უძღვებოდა, ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი** და ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **დავით გობეჯიშვილი**.

როგორც გითხარით, სასკოლო სპორტული ოლიმპიადები ზემოაღნიშნული ფედერაციის ინიციატივით ტარდება, თუმცა ორგანიზებაში დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აგრეთვე – ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა სამი ნაწილისგან შედგება, სპორტული თამაშები სპორტის 7 სახეობაში ტარდება; მხიარული სტარტები და სპორტულ-შემეცნებითი თამაშები. ის რამდენიმე ეტაპად ტარდება – იწყება შიდასასკოლო შეჯიბრებებით, გრძელდება მუნიციპალური, რეგიონული ტურებით და მთავრდება ფინალური შეჯიბრებით, რომელშიც რეგიონების საუკეთესო სკოლები გადიან. იქ გამარჯვებულს, მათ მიერ წარმოდგენილი ღონისძიებების საფუძველზე, ფედერაციასთან ერთად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ავლენს.

ჯანდიერმა ილაპარაკა, ერთი მხრივ, საკუთრივ სკოლების მონაწილეობაზე ოლიმპიადის ჩატარებაში და, მეორე მხრივ, იმ ღვაწლზე, რასაც მათ სეოკი უწევს. ბერიშვილი მიესალმა ბავშვებს, მიულოცა წარმატება და სთხოვა, რომ სპორტში მათი ჩართულობა მხოლოდ ამ ოლიმპიადაში მონაწილეობით არ შემოიფარგლოს. ბავშვებს წარმატება გობეჯიშვილმაც მიულოცა და, თავისი კარიერის რამდენიმე საინტერესო ეპიზოდთან ერთად, ისიც გაიხსენა, რომ მისი პირველი დასამახსოვრებელი წარმატება სასკოლო პირველობაზე გამარჯვება იყო.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2019“-ის გამარჯვებული გახდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გალავნის საჯარო სკოლა, მეორეზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის №1 საჯარო სკოლა გავიდა, მესამეზე – თბილისის აკაკი კივილაძის სახელობის №8 საჯარო სკოლა.

მცხეთელთაგან, ამ გამარჯვებაში შეტანილი აქტიური წვლილისთვის, დაჯილდოვდნენ გალავნის საჯარო სკოლის მოსწავლეები: **ნათია კახობერაშვილი**, **ელენე**, **ნინო და ბექა წიკლაურები**, **ნინო ბურჯანაძე**, **შოთა მეტრეველი**, **ონისე ძაგანაშვილი**, **დავით გოდერძიშვილი** და მათი პედაგოგები – **ციცინო რომელაშვილი** და **მალხაზ აზალაძე**.

ანალოგიური პატივი ერგოთ ჩხარის სკოლის მოსწავლეებს: **ნინო**, **ელენე** და **გიორგი ფანჩულიძეებს**, **თამარ აბჟანდაძეს**, **ქრისტინე ჩიტიძეს**, **გიორგი ცქიფურიშვილს**, **იოსებ აბულაძეს** და **თენგიზ წიქარიშვილს**, პედაგოგთაგან კი – **ნელი გიორგაძეს** და **კონსტანტინე ჩარექიშვილს**. თბილისელთაგან დაჯილდოვდნენ: **თამარ გოგავა**, **გვანცა უსანეთაშვილი**, **ლიკა კვერცხიშვილი**, **თინიკო გელაშვილი**, **ლაშა სამაკაშვილი**, **თორნიკე ექიზაშვილი**, **გიორგი ფოთოლაშვილი** და **ლუკა მაჭარაშვილი**, პედაგოგებთან – **მამუკა მაღლაკელიძესა** და **ლევან მისირელთან** ერთად. მათ გადაეცათ დიპლომები, სამახსოვრო საჩუქრები და სეოკ-ის მიერ ოლიმპიურ თემატიკაზე გამოცემული ლიტერატურა.

სხდომაზე ერთი სიახლეც გააცხადეს: უკვე 2020 წლიდან ამ ოლიმპიადებს თავისი ელჩიც ეყოლება. პირველი ელჩობის პატივი ოლიმპიურ ჩემპიონსა და სეოკ-ის პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვს** ერგო.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი



4 ლარი



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

ევროპული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

15 ლარი

ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა
კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტესტებს: გასააზრებელ ტექსტებს შეკითხვებით და სავარაუდო პასუხებით, ასევე მხატვრული ტექსტების გააზრების სავარჯიშოებს, ესეს წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის



11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.